



თეატრი სხოვნება



სთეატრო სელიტერ. ურნალი



მგალობლიშვილი
სამწერლო მღვდელმთავრის
შეღებების ახლო მღ-
ვდელი მის საიუბილეოდ.



ფ. პ. ფალიაშვილი
სამუსიკო ანსამბლზე მღვდ-
მთავრის 35 წლის მუხრანების
ამო სადგურად თეატრში მისი
იუბილეების აპრ. 18.



რუსეთის სახელმწიფო თეატრების დამსახურებულ არცისცის

ივანე შალვაშვილის

35 წ. მუსიკალურ მოღვაწეობის იუბილა

პარაკევეს, აპრილის 18-ს.,

1924 წ. შესრულდა 35 წ., რაც ტფ. სახელმწიფო აკადემიური საოპერო თეატრის ლობტარე და სამხატვრო ნაწილის გამგე ივანე პეტრეს-ძე ფალიაშვილი მოღვაწეობის მუსიკის ხელოვნობის ასპარეზზე.

ქართველთა შორის ივანე ფალიაშვილი პირველი და ერთადერთი ლობტარია, რომლის სახელსაც იცნობს არა მარტო საქართველო, არამედ უფრო მეტად რუსეთის მუსიკალური წრეები.

თავისი მუსიკალური მოღვაწეობა მან ტფილისში დიმიტრი ქაბაძელ კათოლიკეთა ეკლესიის ორგანისტის თანამდებობით და შემდეგ, 1889 წ. გადავიდა ადგილობრივ ოპერეტის დირიჟორად.

მერე იგი აქვე, ტფილისში, რამდენიმე წლის განმავლობაში იყო ხორმესტრად და შემდეგ ლობტარად ფორკატის, სამარინ-ბიხოვეცის და მარიამ საფაროვი-აბაშიძის ანტრიობაში.

აქედან იწყება მისი განუწყვეტელი მუშაობა ჯერ ხორმესტრისა, მხოლოდ შედარებით მალე მისი თანამდებობაზე კიდეში, შემდეგ კი ტფილისში და ციმბირის ქალაქ სეთში თვალსაჩინო ქალაქ ოპერა და ოპერეტა არსებობდა. ფალიაშვილი არ ყოფილიყო დამ იგი მსახურობდა სამხატვრო ეკლესიაში, როგორც იყო ანტრიობის ბარადაისა, სოლოცკოვის

სხვათა შორის, ივ. დამდენჯერმე იქნა მოწვეული, ჯერ დონსკოის, დასში, ამის შემდეგ თვით სათავეში ტფილისის ოპერაში, 1915 წლამდე.

რუსეთის დიდი რევოლუციური პეტროგრადში იყო სახელმწიფო თეატრის ლობტარე და შემდეგ ურალ პერმში.

საქართველოში სამხატვრო

საიუბილეო განათლება

- ვ. აბაშიძე (სახ. არტ.) მ.
- ს. ევლახოვი, ი. ზურაბ.
- კ. მარჯანიშვილი, ა. ში...

საიუბილეო საიუბილეო

რების შემდეგ ივ. ფალიაშვილი გამოწვეული იქნა რუსეთიდან და ეს ორი წელიწადი აკადემიური თეატრის ოპერის დასს სათავეში უდგას, როგორც ლობტარე და სამხატვრო ხელმძღვანელი.

რუსეთში მოღვაწეობისათვის ივ. ფალიაშვილს მინიჭებული აქვს რუსეთის სახელმწიფო თეატრების დამსახურებული არტისტის წოდება.

როგორც საოპერო სცენის მოყვარე ივ. ფალიაშვილი იშვიათი მოყვენაა, საკვირველ შრომის მოყვარე, გულწრფელობით აღსავსე ამაზნაგე, ყოველგვარ შეწყობის გარეშე მყოფი, დიდს გამოცდილებითა და უნარით აღჭურვილი.

რაც შეეხება მას როგორც ხელოვანს, — იგი დაჯილდოებულია მკნებარე ტემპერამენტით და დიდი მუსიკალური აღირობი და ნიჭით.

და თუ აქამდე ყოფილა აქ მალა თვისებათა წყალობით იგი თვალსაჩინო მოღვაწედ ითვლებოდა მუსიკალურ სფეროში, ამ დღეებში მისი მოღვაწეობა თანადაც მუსიკალური ხელოვნების და მსახიობების და ნიჭიერ ხელმძღვანელების მოღვაწეობა უაღრესად იგი პიოველი და ჯილდოვანი დაჯილდოებულია ქართული სახელმწიფო მისი ინტერ-

საოპერო წარსული ოპერის კულტურული მუშაობის სახალხო კომისარიატის კომიტეტმა დააღიარა იუბილეს დასაჯილდოების წლის მოღვაწეობისათვის.

საიუბილეო კომიტეტი ონაწილეობა მიიღო ამ საიუბილეო კომიტეტი ონაწილეობა მიიღო ამ

წლის აპრილის 18-დღემურ საოპერო თეატრის

საიუბილეო კომიტეტი ონაწილეობა მიიღო ამ



1910—1924

წელიწადი XIV

№ 9

ფასი 20 კ. ნიკ.

„თეატრი და სინემა“

ყოველკვირეული ხუროთმოძღვრული ჟურნალი.

რედაქციის დრ. მისამართი: ყოფ. ქართული თეატრის—სასახლის ქ. № 5, „ახალ კლუბი“-ს შესავალში.

ფოსტით: ტფილისი, რედაქცია „თეატრი და სინემა“.

იხილეთ იმედისთვის.

თეატრი, სინემა, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, სოციალური მოძრაობა

დაარსდა 1910 წ.

კვირა, აპრილის 13.

გამოცემა 1924 წ.

რედაქციისაგან

ხალხურ თეატრის ახალი ხანა

ყველას მოგხსენება, თუ ვის და რას ემსახურება თურნალი „თეატრი და სინემა“.

მე-XIV წელიწადია იგი გამოდის საკუთარის ძალღონით და მკითხველი საზოგადოების ნივთიერ-ზნეობრივი დახმარებით.

გასული წლის მიწურულს ჩვენი თურნალის გამოცემა იცისრა ომში დაკრილთა შრომის არტელ-„ახალი წრე“-მ.

ნომერ-ნახევრის გამოსაცემი თანხაც ვადმოგვცა, მაგრამ მოგვხსენებათ... „დიდ ცოშს დიდი ზეღვა უნდა—ასი ლიტრა საფანელი“-ო. და ეს მან ვერ შეიძლო.

ა. წ. 1 იანვრიდან როგორც წარსულში მთელი გამოცემლობის პასუხისმგებლობა ჩვენ დაგვეცისრა.

თურნალის დაუბრკოლებლად გამოცემისა და შინაარსით გაუმჯობესებისათვის, საჭიროა თურნალის საგამომცემლო ფონდის შექმნა. ამისი გაკეთება კი არც ისე ძნელია.

ყველამ, ვისთვისაც კი ძვირფასია ქართული თეატრი, ხალხური თეატრი, პროვინციის თეატრი, საშობლო მწერლობა და ჩვენი თურნალი, —უნდა გაიღოს თავისი წილი:

- ა) შემოწირულების სახით
- ბ) საღამო-წარმოდგენების გამართვით
- გ) თურნალის გაქცელებით
- დ) ფასიანი ნივთების შეწევით.

თანხმად გავუვეცისრა თურნალის სასარგებლოთ გამართულ საღამოზე, გაიგზავნებ რედაქციის წარმომადგენელი.

ყოველგვარი საქმიანობა ამის შესახებ უნდა იქონიონ პირდაპირ რედაქტორთან.

ხალხურ თეატრს თავის განვლილ ოცდაათიან წელთა არსებობაში იშვიათად ახსოვს წყნარი შემოკმედეგობითი მუშაობა.

ნიდავ ზრუნვა, საწარმოდგენო ხარჯების დასაფარავ თანხაზე ფიქრი, შესაფერი რეპერტუარის ძიება,—აი მისი სახე.

და თუ ამ თეატრმა თავისი შეუწყვეტელი მუშაკობის შესრულების 30 წლის ობილედ გადაიხადა (1923 წ. 21-XII), ამაში უნდა ვეშადლოდეთ მის თავგანწირულ რაინდ სცენისმოყვარეთა და მათ დამხმარე უანგარო ჩემ მუშაკით—გამგებობათა წევრთ.

მიუხედავად მრავალ დაბრკოლებისა, ხალხურ თეატრს თავისი წმიდა დროვა მუდამ მაღლა ეკიარა,—

ეს დროზე იყო სოციალისტური და რევოლუციონური, არა იშვიათად ხელოვნური, მუდამ ხალხის სულიერ მოთხოვნილებასთან ახლო მდგომი.

არა ერთგვის ადინიშნა, რომ იგი—ხალხური თეატრი—მუდამ იყო და არის აკვანი ჩვენის მდამიო ხალხის,—ამ ერის ქეშმარიტი საფუძვლის,—თანამედროვე ენით რომ ესთქვეთ,—პროლეტარიატის აღმზრდელ-გამწრთენელი.

თუ ვისმეს შეუძლიან სთქვას, რევოლუციის ცეცხლს ვაღვივებდი, თვითმპყრობელობას ძირს ვეთხრიდი, წოდებრივ ურთიერთობას თუ საზოგადოებრივ უსამართლობას ვაშკარავებდი და ძველი წესწყობილების დამხობას მთელი ჩემი არსებით ვემსახურებოდიო,—ეს ყველაზე უფრო არა ნაკლებ შეუძლიან სთქვას ხალხურმა თეატრმა.

დიად, დიდი და განუზომელი ღვაწლი მისი:

შექმნა საკუთარი მისწრაფება—მსოფლმხედველობა, აღაოი, დრამატურგია, არა ერთი და ორი მსახიობი და ხალხურ თეატრლობის თესლი ღრმად მიმოაზნია ირგვლივ, არა მხოლოდ ტფილისის გარეუბნებში, არამედ დაბა-სოფლებშიაც;

ხალხს სულიერ საზრდის კერა შეუქმნა, ერი ხელოვნებას აზიარა.

თუმც ეს ასე იყო, ძველი მთავრობა ხომ არა სწყალობდა და არა, არც უკანასკნელი ხანა ულიმოდა ხალხურ თეატრის ასპარეზზე კაპანწყვეტით მომუშავეთ.





ბოლო ხანებში საქმე ექამდისაც კი მივიდა, რომ აქ (სახალხო სახლში) მიმუშავე ქართული დრამის დასის ყოფნა-არ-ყოფნის საკითხი სავებობით შეიქნა.

ამ დიდი საქმის უნდაგარო მუშაყნი ჩვეულგბრიც მუშათა თანაბრად დამზღვევ კასაშიც კი არ მიიღეს: უმუშეყვარნი ხართო (რადგან ჯანაყირს არ იღებენ).

ხალხურ თეატრის დასმა ისტორიულად, სოციალურად და ზნეობრივად დიდინახნა დამისახურა, რომ ღირსეულ თავაზიანობით მოეყყარან.

ამ თეატრმა უკვე დავგიმტყცია თვისი მძღეათამძღეობა და ტფილისში ნამდვილი ხალხური—პროლეტარული თეატრის დროშა ყველაზე მაღლა ააფრიალა.

ჩვენ გვეყმას, რომ ქალ. ტფილისის აღმასკომი ამ საქმეს უფრო მეტის ყურადღებით მოეყყარება და ყოველის მხრივ უზრუნველყყათეს როგორც სცენას ტეხნიკურად,

ისევე მის მუშაყათ ნივთიერად. და ამითი კი ხალხურ თეატრს საშულალება მიწეკმვა დამყ ყყოს ახალი ხანა.

როგორი იყო ხალხური თეატრის რეპერტუარი დღემდე და რა გზით უნდა წარამარაოს მომავალში?—ამაზე შემდეგ.

ეს წერილი უკვე აყყობილი გეკონდა, როდესაც შეეიტყეთ—დღემდე არსებული გულციობა აღმასკომის ხალხურ თეატრისადმი, ამიერიდან მისისახიყეთოლ შეიტყებათ: აღმასკომის თავმჯღღმარეს ლ. სუხიშვილს და აღმასკომის განათ. დამგეს გ. ზუნხიკაშვილს ვადაუწყეკითათ—ხალხურ თეატრის მდგომარეობა ვადაუშჯღღმოსოქ.

რა გეგმით აპირებენ სახალხო თეატრის მდგომარეობის ვადაუშჯღღმესებას—ამაზე შემდეგ.

იოსებ იმედაშვილი.

გალშტრემი

საზოგადოებამ იცოდა, რომ გრიგოლ რობაქიძესა ჰქონდა ახალი პიესა „მალშტრემი.“

იცოდა ისიც, რომ კოტე მარჯანიშვილი ამაზღებდა მის. ყველა ვისაც კი ჩვენი ხელოვნების ვანეითარება აინტერესებს, მოუთმენლად მოელოდა მალშტრემის დადგმას და ამიტომაც რუსთაველის თეატრი ვაქედილი იყო 3 აპრილს.

- წაყითხული ვაქეს „მალშტრემი?“
- სად წაყითახავდი!
- იცნობ შინაარს?
- ცოტადნდა ვიცნობ.
- ქართული არაფერი არ არის შვი თურმე, როგორც ამბობენ.

- მისტერია იქნება, როგორც სჩვევია გრიგოლს.
- ყოველ შემთხვევაში ახალი რამე კი იქნება.
- ყოველივე ახალი ზომ კარგი არ არის უსათუოდ.
- ჩვეულებრიობის ვადალახვა და ახალის ძიება უკვე დიდი ღირსება.

— ენა მაინც ექნება საუცხოო. ასეთი ლაპარაკს მოჰყრავდით ყურს ფარდის ახდამდე.

პირველი მოქმედება იყო ნამდვილი ყუმბარა. ვერ ვაარკევიდით, კინემატოგრაფი იყო თქვენს წინაშე, თუ სინამდვილე. აქ იყო წარმოდგენილი ბურჟუაზიული საზოგადოების უმადღესობა და მისი ცხოვრება, მისი ზნე, აზროვნება, ფილოსოფია.

მეორე მოქმედებას ვადაყვეყართ სულ სხვა აგომი: გლეხის სახლი, გლეხური აზროვნება, ცხოვრება, მსჯელობა და ასეთ პრიმიტივემ სიყვარულის ბედისწერა.

მესამე მოქმედება კენტავრებია, ბუნების შეიღნი, ბურჟუაზიული ცივილიზაციის მიერ ვაფრყვნენღნი.

მეოთხე მოქმედება კიდევ ახალი სურათი: როყვეღერის სიყვარული და კეთროვანთა დედოფალი.

მეხუთე მოქმედება ნამდვილი ელვა არის, დადაისტების მოყდანა.

მეექვსე მოქმედება ანთებული საყირვა ისტორიის და

ამ საყირვს პირას დგას ორი მოპირდაპირე კლასი: ბურჟუაზია და პროლეტარიატი.

- საუცხოვია!
- იშვიათი სცენა!
- ეგ მარჯანიშვილის საქმეა, ავტორი რა შუაშია?
- ვერაფერი ვერ ვაგვივ!
- კიხურის ვაღვენით არის დაწერილი.
- იშვიათი ნაწარმოებია.

ისმოდა ანტრაქტებში ასეთი საუბარი. საერთოდ მაყურებელი ვაოცებული დარჩა, ვანცყფრებულად, ვაკვირებულნი. ყოველივე ახალი—პიესა, სცენები, დადგმა, თამაში, ტენხიკა—ყუმბარასავით ვასკდა მის წინაშე და ის ვაბრუებული დარჩა, დიზნა, ველარ ვაერყვია.

და მართლაც „მალშტრემი“ არა თუ სრულებით ახალია, დიდი ღირებულების პიესაა მარტო ქართულის საზომით კი არა, ევროპიული მასშტაბითაც.

მაგრამ ჯერ-ჯერობით დადგამე.

* *

აპრილის 3-ს ჩვენს წინაშე ქართული სცენა კი არ იყო არამედ ევროპიული თავიდან ბოლომდე და მე როგორც ქართველი ერის შეიღმა და საქართველოს მოქალაქემ სრული სიამაყე ვიგრძენ.

ძმობა და ერთობა დიდი რამ არის, მაგრამ ძმობის და ერთობის საღაროში ხელცარიელი შესკლა საშინელება. მალშტრემის დადგმამ სრულებით დამარწმუნა, რომ ჩვენ არა თუ არ ჩამოუყვარდებით ევროპას, ვათანასწორებინა და ზოგიერთ ხაზებში ვასწრებინა ნიჭი და შესაძლებლობაც მოგვეპოვა.

აპრილის სამი ჩვენი ვანახლებული სცენის ვამართოყ ვამართლება და სრული ვამარყვემა არის.

მარჯანიშვილმა მოგვეცა სასცენო ტენხიკის უყანასწეული სახე, მოგვხიზმა, დავათრო, დავატყვევა, მოგვეჯადოვა და უღღრესად დავგატყბ.

მარჯანიშვილმა ვადაქარბა ყოველგვარ მოლოდინს სცენა სინემატოგრაფად ვადააქცია და სინემატოგრაფი სცენად.

ჩვენ მოგვცა აქ სანახაობა, მაგრამ სანახაობის ჩარჩოებში ნათლად დაგვანახა ღრმა აზრი.

ექვსივე სტენა დადგმის მხრივ ერთი მილიანი მშენებნიერება იყო; ერთი სურათი მეორეს სჯობდა და განსაკუთრებით განსაზღვრებულ იყო პირველი—ფენომენალოგია და მეხუთე—დადასტების მოვადანი.

რეისურის გამარჯვებას ხელი შეუწყო ერთის მხრით მსახიობებმა, მეორეს მხრით ახალგაზრდა მხატვარმა გამრეკელმა თავისი დეკორაციებით.

გამრეკელი უსათოდ დიდი ნიჟია. მსახიობები უნაკლო იყვნენ და ანსამბლი იშვიათ მიღწევას წარმოადგენდა. ახალგაზრდა მსახიობებმა გვიჩვენეს ამ დღეს დიდი ნიჟი, დიდი სიყვარული საქმისა, დიდი ვატყეობა და დიდი ვაჭრობა.

განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდა პირველი მოქმედება—ფენომენალოგია და მეხუთე—დადასტების მოვადანი.

ორივე ისეთის ხელოვნებით იყო შესრულებული, რომ არა თუ ჩვენი სტენა, ევროპის საუკეთესო სტენა იამაყებდა ასეთის შესრულებით.

ვაშა კოტე მარჯანიშვილს, ვაშა ახმეტელს!
ვაშა მხატვარ გამრეკელს და ვაშა ყველა მსახიობებს!

* *

რას წარმოადგენს „მალშტრემიში“ მისტერია არის, დრამა, ტრადედია, კომედია?

არც ერთი არც მეორე, არც მესამე. ის არის გადალახვა ყოველგვარი სკოლისა და მიმართულებისა.

მალშტრემია პიესა, რომელშიაც რეალიზმს სცვლის რომანტიზმი, ტრაგიულს—კომიკური; ერთი სურათი ცრემლის ტბა არის, მეორე—სიცილის შადრევანი.

პიესაში ექვსი მოქმედება, თვითიული მოქმედება დამთავრებული იდგის წარმოადგენს. ამიტომაც გვეგონებათ, თითქმის მათ შორის კავშირი აღუკუსტი იყოს, ალაგს ალაგ არ არსებობდეს. მაგრამ როდესაც ჩაუვიკრდებით, დარწმუნდებით, რომ ყველა მოქმედება ავტუტულია კრიალისანივით ერთ მთავარ აზრზე.

ეს აზრია—ბურჟუაზიული კულტურის სრული გათახსირება და გადაგვარება.

ბურჟუაზიულმა კულტურამ დაიიწყა იდეალი, ადამიანის მოწოდება, მისი მიზანი, აბსოლუტუტ—მარადიული, დაუმორჩილო ფუფს, გაამეცა რელატივი—წარმავალი და უველისფერი გარდააქცია მანქანად.

დეკადანსი ბურჟუაზიული კულტურისა იწყება ფილოსოფიადან კანტით და თავდება აინშტეინით.

კანტმა გამოაცხადა; აბსოლუტუტ ჩვენთვის მიუწოდებელია, შეუცნობელი და სამუდამოთ დაფარული; ჩვენ შევიძლია მხოლოდ ფენომენის ე. ი. ჩვენი საკუთარი მოქმედების მიწოდება და შეცნობაო.

მაგრამ კანტმა მაინც დასტოვა დრო და სივრცე, როგორც აუცილებელი პირობა, რომლის გარეშეც ჩვენი აზროვნება შეუძლებელია.

აინშტეინმა აბსოლუტუტით დროც უარჰყო, სივრცეც და გამოაცხადა: სივრცესაც დასარული აქვს, დროსაც და ბუნებაში ყველფერი პირობითია, შეფარდებითი, აზრითარი აბსოლუტუტ არ არსებობსო.

მალშტრემის პირველი მოქმედება წარმოადგენს უმარადესი ბურჟუაზიის ზნეობრივსა და იდეურ გეკოტრემას.

ამ გეკოტრემისა და გადაშენების შედეგად ისეთი ესთეტიური აბსურდი, როგორც დადასტება; ეს ხომ შედეგია ბურჟუაზიული კულტურის გახრწნისა.

უკანასკნელი მოქმედება საუცხოვო დასურათებაა ბურჟუაზიის პოლიტიკურად გახრწნისა.

მის წინაშე ამართულია მეორე ძალა და ორი მოწუნალმედვე ერთი მეორეს ეჯახებიან.

აქ თავდება პიესა ანთებულ საკრესთან, როგორც უწოდებს ავტორი უკანასკნელ მოქმედებას.

დასკენა ავტორისა ცხადია: ბურჟუაზია და ბურჟუაზიული კულტურა გადაგვარდა და გაიხრწნა; ისინი უკვე ვანწირული არიან ისტორიის მიერ და ანთებული საკრეს შთანთქაქს მათ.

ერთადერთი კლასი, რომელიც იქნება ბურჟუაზიის მესალღავე, მუშა ხალხია, მაგრამ მუშა ხალხი არ უნდა გააკვეს ბურჟუაზიის გასა არ უნდა დაივიწყოს იდეალი, აბსოლუტუტ ე. ი. მიწის სჯული, იყოს მთლიანი, მტკიცე და მაშინ შექმნის ის ნამდვილ ადამიანურს და ამაღლებულ ცხოვრებას ძველის ნანგრევებზე.

ყოველი მოქმედება ღიდის სტიით არის შესრულებული და ძლიერ შთაბეჭდილებას ნიჟობებს.

ავტორი უპირდაპირებს ერთი მეორეს ბურჟუაზიის დეკადანსსა და მიწის სჯულს. მაგრამ რამდენადაც ძლიერია ის პირველში, იმდენადვე ძლიერი ვერ არის მეორეში.

ფენომენალოგია, დადასტების მოვადანი ნამდვილი შედეგია.

აქ თქვენა ჰყნოსავთ აშორებულ სხეულსა და ტეინს ბურჟუაზიისას.

კენტარებში ე. ი. მესამე მოქმედებაში უნდა იყოს ასევე მძღავრად მოციმული მიწის სჯული, მაგრამ არ არის. კენტარების ბუნება, ხასიათი, შეხედულება, ცხოვრება უფრო მეტეორად უნდა იყოს გადაშლილი. სამივე პიესაში—ლონდონი, კარლში, მალშტრემში ავტორს გატარებული აქვს მიწის სჯული.

ნამდვილი კენტარები მას ჰყავს გამოყენილი ღონდაში, უფრო კი კარლში, რომელსაც მე პირადად მალშტრემში უფრო მაღლა ვაყენებ.

თავისთავად აღებული უკანასკნელი მოქმედება იშვიათის ექსპრესიით არის დაწერილი, მაგრამ ანთებული საკრესათვის კიდევ უფრო მეტია საჭირო—მეტი ცეცხლი, მეტი მოქმედება, მეტი საშინელება და საერთოდ მეტი სიმძღავრე.

აქ არის უკვე დასაწყისი კატასტროფისა, საშინელი სამკვერო-სასიცილო ბრძოლისა, რასაც „აღსდევ, შემოკრბით მშვიფო მქეზო“-თი ევლარ გამოჰატავთ.

აქ უნდა სჩანდეს და ელვარებდეს, დეკადანსი საშინელი ცეცხლი, ისტორიის უწინარი ხელითა და რკინის ნებით დაწებული.

ეს კი არ არის.

ავტორის ენა დახვეწილია, დაწმენილი, თავისებური და ყოველი სიტყვა მოფიქრებული, ხოლო ზოგიერთი გამოთქმა მე მაინც მიუღებლად მომჩანია.

თანამედროვე ადამიანი ძალიან დამოწრა მიწის სჯულზე აღზრდილ ადამიანს და ზოგიერთი რამ, რაც მის-



თვის ბუნებრივი და ჩვეულებრივი იყო, თანამედროვე აღამიანისთვის ფრიალ სახამუშოა.


მეორე მოქმედებაში იშვიათის სიმძლავრითა და გრძნობით არის გაშუქებული სიყვარულის ცეცხლი, სიმძაფრე, ტრალიზმი და ბედისწერა. მაგრამ როდესაც მუხლმოყრილი ვაჟი იწვის საყვარელი ქალის წინაშე და უტყბადებს: „საშო შენი ცხელია“-ო ასეთი გამოთქმა მეტად სახი-

ფათაა დღევანდელი აულიტორიისათვის და მხოლოდ დღევითაშვილის თამაშს მიეწერება, რომ აქაიქ წამოძახილი და სიცილი არ გაისმა.

ბიესაც, დადგამც, თამაშიც იშვიათია. პატარა წერილში შეუძლებელია მათი ამოწურვა და სხვა დროს და სხვა აღაგას უფრო ვრცლად შევხებოი.

ივ. გომართელი

რესპუბლიკის სხსლხმ პრტისხნი



ნიკო გოცირიძე

ვასო აბაშიძე

სახალხო თეატრი და ნიკო გოცირიძე

30 მარტს რუსთაველის თეატრში გაიმართა იშვიათი ზემი ნიკო გოცირიძის 30 წ. შეუწყვეტილი ენერგიული მუშაობის გამო სახალხო თეატრებში.

30 წელიწადი! ოცდა ათი დღე კი არა, არამედ ოცდა ათი წელიწადი! ამ ხნის განმავლობაში ნიკო მუშაობდა და განაგრძობს კვლავ მუშაობას. ამ ხნის განმავლობაში ამ თეატრალურ ხელოვნებასთან ერთად, ნიკო ეწევა ფიზიკურ შრომას ამიერკავკ. რკ. გზების მთავარ სახელოსნოებში ოცდა სამი წელი!

დილით ადრე, 5 საათზე, პირველ „გულოკის“ ხმაზე ნიკო ლოგინიდან წამოძვრება, საჩქაროთ იცვამს, გამოიკეტავს თავის ბინის კარებს, გასაღებს ჯიბეში შეინახავს და მიეჩქარება განთიადით ზამთარ. თუ ზაფხულ რკინის გზების სახელოსნოებისკენ, მისვლისთანავე იწყებს ფიზიკურ შრომას და ათავებს ნაშუადღევს 3—4 საათზე; გარბის ბინისკენ, იღებს ჯიბიდან გასაღებს შედის დაობლებულ ბინაში, საჩქაროთ ტანთ გამოიცვლის, ხელპირს დაიბანს, წინაყრდნება და ისევ მირბის ნაბიჯით... თეატრისკენ.

მისი თეატრები—მხოლოდ სახალხო-მუშათა უზნების აულიტორიები: ავჭალა, ნაძალადევი, ავლაბარი, ჩულურეთი და ბოლოს საყვარელ თეატრად გადაქცეული ზუბალაშვილის საუცხოვო სახალხო სახლი. აქ იწყება ან რეპეტეცია ან წარმოდგენა. რეპეტეციის დროს ყველასთან მოზასე, მზიარული სახით მოხუმარე, თავმდაბალი ყველასთან—ახალთან თუ ძველთან, პირველ ხარისხოვანთან თუ უმნიშვნელო სტუტისთან. ყველასათვის საყვარელია! რეპეტეციის დროს იგი ასწავლის, აქებებს და იმედს უწერავს ყველას, წარმოდგენის დროს საუკეთესო განმამხნეველო და თვალყურის მგდმებელი. არც კარგი და ან რაიმე დფექტი წარმოდგენის დროს ნიკოს არ გამოეპარება, როგორც თავის მხრივ გაშვებული, აგრეთვე სხვასაც.

აი გახდა 12, 1 და შუალამის ორი საათიც. ნიკო იმა ჩქარის ნაბიჯით მიეშურება სახლისკენ; მივიდა საჩქაროთ, ჩაწვა ლოგინში 2—3 საათი წასთელიმა და კვლავ პირველი „გულოკი“! კვლავ ნიკოს მოუწოდებს განთიადი ფიზიკურ შრომის ფორმისკენ.

აი მთლად ნიკოს ცხოვრება და ეს მთელი ოცდა რვა წლის განმავლობაში! ამ პირობებს კაჟი უნდა. და, აი, როგორც ხედავთ, ნიკო სილი და კვლავ გაკაყუებული მუდამ მოხუმარია! სავა ნიკოა—იქ მზიარულებმა! ეს მზიარულება მას თან დაჰყვია; ამ 30 წლის ხანაში ნიკო არ შემდგარა და სახალხო თეატრთან ერთად ამხნის განმე-



ლობაში რედა ზეციურ ზარს! ზარს, რომლითაც მუშათა უნებში სოსდა მუშებ ზორის თესლს, რომლის ნაყოფიც ეხლა მოგვეცა. მზიარულ სიცილ-ხარხარით ნიკო, ვით გრუმ-ნეესი („მეზობლები“, ტ. რამიზვილისა), მალამოს სდებდა დაბეჩაბებულ მუშათა გულებს; აღვივებდა ნაკვერჩხალს მრეაველ ბედნიერებას და თვითამოკანისს. დიას! ნიკომ, სახალხო თეატრმა და ყველა აქ ამ დარგში მომუშავეთ ამ 30 წ. განმავლობაში საქართველოს მშრომელ ხალხს მიისცეს ის, რის მიცემაც ვერ შესძლეს დიდმა თეატრებმა. დღემდის ერთი ნაწილი, ნაწილი სარევილიყო ავზენების გაღვიძებისა დამთავრდა, მაგრამ სახალხო თეატრის დარჩა ეხლა მეორე საქმე და მეტად უდიდესიც! მუშათა კლასის გათვითცნობარება, აღზრდა მომავალი თაობის, უკეთესო მომავლის დასურათებისა და წარსული შეზღვევ უკუღმა დროის ფურცლებს ისტორიის აქტივე ჩასვენებისა!

სახალხო თეატრს უნდა დარჩეს ისევ რეალურად, სახალხო იგი უნდა იყოს ვახვები და იმ გეარად აწყობილი, რომ შექმლოს მუშათა გულში ჩაწლიმა. სახალხო თეატრის ზარი კვლავ უნდა გუგუნებდეს ამაყთა და ამ სამრეკლოს ვერ მოშორდება ნიკო!

სახალხო სცენა და ნიკო—ეს ერთია და ასევე ერთეულადაც იცნობს მათ საქართველოს მშრომელი კლასი!

მამ ვაშა სახალხო თეატრს დამის ოცნდა ათი წლის განმავლობაში თანამზავრის ნიკო გოცირიძეს!

6 აპრილს ნიკომ ეს თავის ბედნიერი დღე გადიხდა თავის ძეულ ქერქვეშ და მეტად ლამანხიც იყვნენ ორივე განუყრელი მეგობარნი—ნიკო და სახალხო სახლი.

გაუმარჯოს მათ და მათს მოსიყვარულე აუდიტორიას—საქართველოს მშრომელ ხალხს.

გიორგი თაზიშვილი.



ქართული ლიტერატურა

„ქვეყნიონი“ № 1-2.

(მკითხველის შენიშვნები)

გადმომცეს შემდეგი. როდესაც ერთი უდიდესი კომუნისტი შეეკითხა მაქსიმ გოკიას: „მაქსიმინ, რატომ არ გვაძლევ ახალ მხატვრულ ნაწარმოებს“, გოკიას უპასუხნია: „ხომ იცი, რომ მე ყოფა-ვითარება აღწერი ვარ, ხოლო დღევანდელი ვითარება ვერ მიხდება“. მ. გოკიკი, რაც უნდა იყოს, პილნიაკებზე, მიაკოვსკებზე და თვით ბლოკზე უფრო გრძნობდა რევოლიუციის ტალღებს, მაგრამ დღეს ვერ გამოვიდა მის პიკედზე. ეს აიხსენება, სხვათა შორის, იმით რომ სოციალური ვითარების მხატვარი თავის თავს ვერ დახატავს. თუ ამას მიჰყო ხელი, კოჭლი სურათი გამოეფა. რევოლიუციის ყოველდღიური მონაწილე შეიძლება იყოს პამფლეტისტი, კარიკატურისტი, შარკისტი და სხ., მაგრამ ობიექტიურად ვერ მიუღდება სიუჟეტს, ვერ შექმნის ტიპებს და მისი ნაწარმოები ცალბეიანი გამოევა. ის პირი კი, რომელიც რევოლიუციის მოწამეა და არა აქტიური მონაწილე, ასე უკუხვთ, მეთვალყურეა, ვერ შევაროვებს მთავარ ფერებს და მას ვერ შეაზავებს, წვიროლმანებში ჩაიფლება, სურათიც სისლ-ნაულული გამოევა. მოძრაობის დროს სხვა და სხვა ხარისხიანი ძალები მოქმედებენ, სურათები ელვის სისწრაფით იცვლებიან. მოძრაობის მთლიანი სახის ასახვა შეუძლებელია. ლ. ტოლსტოი შორიდან უყურებს 1812 წ. ეპოქას და მის გმირებს და მისი შემოქმედების ნაყოფიც „ომი და მშვიდობიანობა“ უყვლიდა. ასეთივე მდგომარეობაშია უფრო პატარა მასშტაბით ჩვენი ყაზბეგიც.

და როდესაც ერთი ვინმე „კავკასიონს“ უსაყვედურებს, რომ ის გაურბის თანამედროვე ხანის მხატვრულად აღწერას, ეს უსაბუთო საყვედურია. თანამედროვე ხანაზე არ უნდა გააზრდე, ან მინიატურებით დაკმაყოფილდე. ვისაც უკანასკნელი არ სურს, ის გააზრმებულია და ეს ბუნებრივია. დღევანდელი ეპოქა თავის მხატვარს მომავალში განაზრმებს.

3. ინგოროყვს მიერ. შინაარსით ის მდიდარია: ქართული და ევროპული ლიტერატურა, აზიის შემოქმედების ნაყოფები და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ამიერკავკასიის ერების ლიტერატურის ნიმუშები. ეს უკანასკნელი მით უფრო საინტერესოა, რომ ჩვენ მათ შესახებ არაფერი ვიცით. კიდევ მეტი. მეტიჩრობად არ ჩავგვივლება, თუ ვიტყვი, რომ ამიერკავკასიაში ქართველობა მოწინავე ერთია. ჩვენს მეზობლად სრულებით ჩამორჩენილი ერები და ტომები ცხოვრობენ. შენ რომ მაღლად დაიწყე ასლა, მეზობელი ფეხებში ჩაგვიარდება და გასაქანს არ მოგექმს; ეს ამიერკავკასიაში ფიზიკური კანონი იქნება იქამდის, სანამ მეზობლებიც არ გამოვლენ საშუალო საუკუნოების ფარგლებიდან და თანამედროვე კულტურას არ შეითვისებენ. ჩვენ გაუაციციებით უნდა ვაღვენოთ ყური მათს შემოქმედებას ყველა დარგში.

პირველი წერილი გრ. რომაქიძეს ეკუთვნის—სწერს ლენინზედ. ავტორის სტილი ენერგიულია, ხოლო აზრების მიმდინარეობა მეტად დაჭიმულია. სიტყვის შეუბრუნებლად ვიზიარებთ მის დებულებას, რომ ლენინი დიდი პიროვნება იყო. მაგრამ ამ ისტორიულ პიროვნების გავება შეუძლებელია რუსეთის და საერთაშორისო სოციალურ ძალების მილიოს გარეშე. სწორედ ეს კიბილი აძლევდა მიმართულებას ლენინის გონების საქმიანობას და ნება-ყოფის გამოხატვას. საერთო განყენებული დებულებებით ლენინის დაფასება შეუძლებელია. რომაქიძე სწერს: „რუსეთის საშო ბიბლია და უნებო, ლენინი სასტიკია და ნებიანიო“. თუ ეს მართალია, როგორ ხსნის ავტორი იმ ისტორიულ ფაქტს, რომ მოსკოვის სამთავრომ შექმნა უდიდესი იმპერია და დიდი ხნის განმავლობაში შიშის ზარს სცემდა მთელს ევროპას? ეს არ იყო შედეგი „რბილი და უნებო საშოსი.“ ავტორის სიტყვით „ევროპის ეპოქალური ტიპი პამლეტია, პამლეტობა ევროპაში ყველა ისტორიულ პიროვნებას ახასიათებს.“ ეს არის ჰიპერბოლა და ისიც ისტორიულად შემცდარი. იმპერიალისტურ

წერდა „კავკასიონი“ მხატვრული შინაარსის მატარებელია, ლამაზად არის გამოცემული მისი რედაქტორის

საქართველო

მარშლების ჰინდენბურგ-ფოშის შეუღრეკელობას დღესაც ძაძაში ჰყავს მთელი ეროპა, ხოლო ყოველ ორტოდოქსალურ მარქსისტს—მუსოლინის რეზინას—მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, საერთოდ ის სოციალური და ეროვნული ბრძოლა, რომელიც ბოპოქრობს მსოფლიოში მთელი ძალების დაქიმებით, უდაოდ ამტკიცებს, რომ დანის მოცნებთ თავად ასპარეზიდან განდევნილია. ჩვენი ავტორი განაგრძობს: „ეკრაპაში რევოლუცია უფრო მატერიალური სიკეთითა „გადალაგებაა,“ რუსეთში რევოლუცია სამყაროს პრობლემადაა გადაქცეული. ყოველ შემთხვევაში პათოსით და რომანტიკით.“ ეკრაპის რომელ რევოლუციასაც ლაპარაკობს რომაქიმე? მომავლის შესახებ ანაზე მან არაფერი იცის, გერმანია, ავსტრო-უნგრეთის? იქ მატერიალურ სიკეთითაა „გადალაგება“ არ მომხდარა. მოხდა ავსტრიაში ერების განთავისუფლება, მაგრამ ეს ხომ არ ექნება სახეში ავტორი? შეიძლება ის ლაპარაკობდეს საფრანგეთის დიდ რევოლუციასზე? ამ რევოლუციას თან ახლდა „გადალაგება“. ერთ რუს მწერალს, თუ არ ვცდები გერცენს, მოჰყავს ერთი მისამარხლის შემდეგ სიტყვები: „მე იაკობინელი და თათარი ხომ არა ვარ, ზარმატი რომ ვიყო“ და თავის მხრივ დაძმენს: „იაკობინელებს ბევრი რამე დასწამეს, მაგრამ სიზარამაც მათთვის ჩვენი მისამართლის გარდა არავის დაუწამებია.“ საფრანგეთის რევოლუციას ბევრი რამ დასწამეს, მაგრამ ჯერ არავის უთქვამს, რომ მას აკლდა „პათოსი და რომანტიკა“. ან რომესპიერ-სენ-ეიუსტის ნება და ინტელექტი რომ ერთი არ იყო, ვახსენოს რომაქიმე „მარსკლეზა.“ სიტყვებს და მუსიკას არც პათოსი ავლია და არც რომანტიკაში. ყველა ეს შეცდომები გრ. რომაქიმის მხრივ აიხსნება იმით, რომ ავტორი პოეტია და ეს მისი წერილიც პოეტური ნაწარმოებია. ასე ვთქვათ ოღადა—დიდი პიროვნების სიკვდილის გამო შედგენილი.

მეორე პოეტის—კონსტანტინე სკლიუნის „როინის აპოლოგია“ ლამაზი ქმნილებაა. ქალის ვინმეც და მიაკურთხის ჭიჭინაძის შემოქმედების ნაყოფს კლასიური შინაარსი: ბურჟუაზიულია თუ ფეოდალური დასავლეთი საქართველოს ბუნება? რასაკვირველია, არც ერთი,—ის სხვადასხვა სურათების ჰარმონიული გამოფენა და პოეტს ქალღმადღებე გადააქვს ეს სურათი. მე წარბიშობდებინა, რომ „როინის აპოლოგია“ კინოზე გადაიღონ და გეაქვენონ შესაფერი მუსიკა.

ს. აბაშელის „უძილო ღამე“ პოემაც არის და ჰეინესებური გადაკითხვა „ძველი და ახალი წიგნების.“ ჩვეულებრივი სინაზით ფურცლას აბაშელი ამ წიგნებს. მას უყვირს, თუ „რანდმა ღამაჲ ქალისთვის როგორ გასწორა ქვეყნად ყოველი.“ ვინ იცის მომავლის საიდუმლოება? როდესაც

გაიფოს ხანი—და დღევანდელი
დაინსურფივან ცეხლის რაჴში,
იღუგებს შორით სულ სხვა კანდელი,
სხვა ვანთიადი ნარიერაჴებში...

მაშინ როგორ შეაფასებენ ჩვენი დროის „უძილო ღამეებს“ ვილკამ ამ ლექსს პესიმისტური უწოდა. ეს შეცდომაა. შეუძლებელი იყო, რომ აბაშელს, რომელიც მოახრონე პოეტია, არ ეგრძნო დღევანდელ სინამდვილეში პესიმინების სრული არარობა. ის ხომ ცხოვრების ზედა-

პირს არ უტყვის, არამედ მის სიღრმეს სწავდება—სწავდება ტიკური აზროვნების კვლიც მას უსათუოდ ეწინაა. ეს არც ვეცვირს. ვადაშალეთ „კაკეასიონის“ შემდეგი ფურცლები და გადაივიხიბეთ ანატოლ ფრანსის „პროკურატორი ურასტანისა,“ პონტიუს პილატუსს და ელიუს ლამიას საუბარი. უკანასკნელი კითხულობს: „... ის კაცს იესო ერება; ნახარაველი იყო, ჯვარს ადევს—არ ვიცი რა დანაშაულისთვის. პონტიუს, შენ ხომ არ გახსოვს ის კაცი?“ პონტიუს პილატუსმა წარბები შეჰყარა და შუბრზე მიიღო ხელი ძველი ამბის მისაგონებლად. მერე, კოტახნის სიჩუმის შემდეგ:

„იესო?—ჩაღლაპაპა მან,—იესო ნახარველი? არ მახსოვს.“

სკეპტიკულად განწყობილმა ს. აბაშელმაც სრული სპუთით შეიძლება იკითხოს: ნეტავი რომელ იესო ნახარველს გადაივიწყებს მოხუცებულობაში შესული პროკურატორი პონტიუს პილატუსი?

„კაკეასიონში“ მოცემულია ბევრი საინტერესო ნიმუში ეკრაპის ლიტერატურაში. მე მკითხველის ყურადღებას მივაქცევ ჰაზენკლევერის ლექსს: მკვლელები სხედან ოპერაში. როდესაც მას კითხულობ, არ შეიძლება არ იგრძნო უდიდესი მწუხარება იმის გამო, რომ ადამიანი, რომელიც დასაბამის პიროუტყვის მონათესავე იყო, ცხნა წლის უწინ დაუბრუნდა თავის პირველყოფილ დგომარეობას, გატიტვლდა, გამხეცდა და დღესაც ტყეში დარბის:

„ნაღარამ ბრძოლისა შეამძრუნა მთებში,
სისხლია ღვინო, ჰაერში, მულიონში,
ო, მშობლო ქვეყანა, მე არ შევმოდებო!
მკვლელები სხედან ოპერის პავილიონში.“

ვალტერ ჰაზენკლევერი გემინანელი მწერალია. მისი ლექსი საზოგადოებრივი ხასიათისა და რევოლუციონერი ბაქლებით გავენთილია.

ამ მოკლე წერილში ვაკვირთაც ვერ შეეცებებით ჟურნალის მდიდარ მასალას, ზოგიერთი ნაწარმოებაც დაგთავებელია. მათი განხილვა სხვა დროს. მაგრამ გვერდს ვერ აუხუტავ ქ. მარჯანიშვილის: ქართული თეატრის საკითხებს, რადგანაც ის მეტად აქტუალურია. მარჯანიშვილის წერილი მოკლეა და უსათუოდ იმით აიხსნება მისი დეკლარატული ხასიათი, ესე იგი პატეტივმული ხელოვნანი აყენებს დღეულებებს, ხოლო მის დამტკიცებაჲ ნაკლებ ზრუნავს. ის, მაგალითად, სწერს: გავებდავ ვანტიკო, რომ მიუხედავად ა. ცაგარის დიდი ტალანტისა, მისი თეატრი, მისი სკოლა, ოდნავად არ არის ორიგინალური ქართული, არამედ ტიპური ნატუბი ისტროესიკის ყოფა-ცხოვრების თეატრისა, მისი მაჴანკლებით, ვაჴრებით, გაკოტრებული აზნაურებით“ და სხ. ამის შემდეგ მეგონა, რომ მარჯანიშვილი აიღებდა ცაგარის და ოსტროესკის რომელიმე ნათესაური პიესებს და მათ ერთმანეთს დაუპირდაპირებდა. ეს მან არ ინება. მარჯანიშვილმა იცის, რომ მეცნიერებაში მიღებულია ცდის მეთოდი. დადგას მან ცაგარელი და ოსტროესკის მონათესავე პიესები, პირველი რუსულად, ხოლო მეორე ქართულად. ვეცლაზე მინარა დამსწრეც იტყვის: „Федот. Не тот: ეს ქართველი ვაჴარია, ის კირუსია“. ეს თქმის, რასაკვირველია, ტიპების შესახებ და, მაშასადამე, პიესის სულის ორიგინალობაზე. შემდეგ მარჯანიშვილი ეტება

ისტორიულ პიესებს. ეს მეტად საინტერესო თემაა. ის წერს: „ეს არ არის თეატრი მითოსისა, ესე იგი სული აღებული მის მასიურ მესხიერებაში, არც თეატრი მისტერიისა, მისი მისწრაფებით შვიცნოს ცხოვრება და დამარცხოს სიკვდილი, არამედ უბრალო იარაღის ჩხარუნია“. მაგრამ ჩხარუნის გარდა ეგებ ის სხვაც არის? ეს იყო მაშინდელ პირობებში თეატრი ეროვნული თავდაცვისა, ესე იგი სოციალური სული მის ისტორიულ მესხიერებაში, მე აქ ტენიკას არ ევხები, ვამბობ შინაპარსზე. აიღეთ თუნდაც პიესა „სამშობლო“. რაც უნდა გადამოეწერათ ის სიტყვა-სიტყვით“ რამდენიმე ათეულ წლების განმავლობაში ის ათამაშებდა ქართულ გრძობებს, იწყვედა მასში ოპოზიციონურ ალტკინებას და ამ მხრივ ის ეროვნული იყო. ნუ თუ არ იცის მარჯანიშვილმა, რომ,

როგორც ამბობენ, ებრაულ ენაზე დაწერილია „სინაში“ პალესტინაში უშედეგოდ დარჩა, ხოლო სხვაგან მისი სახელით ორმა ეკლესიამ ერთმანეთს კბილები ჩაუღწია. ვინც ქართულ თეატრის ისტორიულ სახეს უარყოფს ის წარმოადგენს ანდრეევის ცნობად გმირს, რომელიც ოცნებობდა „კაცობრიობის გატიტვლებზე“ და შემდეგ ახალი საზოგადოების შექმნაზე. **ახე კი სინამდვილეში არას დროს არ ხდება.** ყოველთვის და ყველგან, **აუცილებლად** „le mort saisit le vix“ (ყველარი იჭერს ცოცხალს). საქართველოში ეროვნული თეატრი რომ არ ყოფილიყო და მისი თავისი ისტორია არ ჰქონებოდა, ასე უცვლილად მარჯანიშვილიც კერ ამეტიკვებდა ქართულ განახლებულ სცენას.

ბიკ. თევზაია.

მოსახილავ გუნდში

ილიკო ქურხული.



უკვე სამი წელია რაც ჩვენი ნიჭიერი მოხეტიალე მუსიკოს-ილიკო ქურხული გაემგზავრა უცხოეთში. პირველი რ თვე მან დაჰყო **ოსმალეთში**, განსაკუთრებით კონსტანტინოპოლში, შემდეგ კი გადავიდა **ბულგარეთში**, სადაც მალე გაიცნეს იგი და მოგვყვნენ დიდის პატივისცემით.

ყველგან თანაბრად კი არა, მხოლოდ განსაკუთრებულ ერთ კლასს შორის, ერთ წრეში.

თამამად შეგიძლიათ შემიკითხოთ, ყველა საკმაოდ არის მომზადებული ამ გვარ მუსიკოსისათვის, თუ არა? ამასთანავე ნურც იმას დაიფიქვებთ, რომ ხელოვნებათა შორის მხოლოდ მუსიკას შეუძლიან პირდაპირი და ძლიერი გავლენა ადამიანის ფსიხიკაზე და, თუ პროგრამაც შეურჩიეთ, კლასიური მუსიკით არამც თუ დავაინტერესებთ განათლებულთ, არამედ გაუნათლებელსაც კი მოხიზბლავთ და გავაცნობებთ. მაგრამ ვინ დაიწყებს ამას, ვინ მიუვდებს მუსიკის მინიარეს ცისფერ ოკეანესაკენ?

ამ 2 1/2 წელში ჩვენმა ილიკომ თავის ცოლშვილით და ტკბილ-მშობან ვიოლინითა მოიარა თითქმის მთელი ბულგარეთი და ვააცნო იქაურ ხალხს ქართული ხმები, ქართული მუსიკა.

როგორც ხალხმა, ისე განათლებულმა წრეებმა ღირსეულად დაათესეს იგი და მისცეს საშუალება თვით სკოლებშიაც კი მეწეყო ლექცია და საუბარი საქართველოს ისტორიის და მეტადერ ქართული მუსიკის შესახებ, რასაც დიდი სიამოვნებით ისმენდნენ ათასობით ქალი და კაცი, მოხუცი და მოსწავლე ახალგაზრდობა; უკვირდათ მისი ხალხში ვასელა, **მონებლად მუსიკოსობა**, მის მიერ მუსიკის დაახლოება ხალხთან და მათ ხალხის ზნეობის და სწავლურ გრძობათა გაფიქვება.

ეს საკითხი ამ ათი წლის წინათ გადასჭრა ერთმა ახალგაზრდა ქართველმა მუსიკოსმა, რომლის სახელი და გვარი **ილიკო ქურხული**. ამან დაიწყო თავისი ვიოლინითი ბეტრიალი ჯერ მოსკო-პეტროგრადის ესოპეში და მერე ტფილისსა და საქართველოს სოფლებში. აქ ავრცელებდა იგი მეთხოვერის, მოკარტის, გვირის და სხვების კლასიკურ მუსიკალურ შემოქმედებას. ეს არ მოქცა ისე, როგორც მისი თანასწორი მუსიკოსები, არ შევიდა რომელიმე ფილარმონიულ ორკესტრში, თეატრსა და რესტორანებში. ეს ანთიო მუსიკალურ წინდა იდეთი, ესაზხურის იმათ, ვინც მუსიკას მოკლებული და დაშორებულია, გასწია მათკენ, ვინც მუსიკას გროშებით აჯილდოებდა.

ამ ხნის განმავლობაში ბევრი ქება-დიდება დაიბეჭდა ილიკო ქურხულის შესახებ ბულგარულ ჟურნალ-გაზეთებში, მისი მრავალი სურათი გამოაკრეს ვიტრინებში, შარშან ცალკე წიგნაკიც კი გამოვიდა ბულგარულ ენაზე ილიკის შესახებ, სადაც გამოთქმულია ბულგარეთის გამოჩენილ მწერალთა და მუსიკოსთა აზრი ჩვენი ქებული მოძმის ნებისა და უნარის შესახებ. აქ გვეკვდათ ერთ ამ წერილთაგანს.

ილიკო ქურხულის ასეთ ცდებს დასაწყისში სიკოლბარხბართი და დაცინით შეხედნენ. შემდეგ კი მიაპყრეს საქართველსა და სიმამრთა მუსიკის სერიოზულ პატივისცემლებმაც კი. დასწერეს მასზე ა. ზარინმა გაზეთ „ბირეველი ვედომოსტ“-ებში, „რუსკოი სლოვო“-ში ა. იაბლოზოვსკიმ, „რუსკია ვედომოსტ“-ებში იული ენგელმა და სხ...

მუსიკის პროპაგანდა.

დღი ხანია, რაც მხატვრულ მუსიკის მეგობრებს აინტერესებს საკითხი: თუ როგორ გაავრცელონ ფართე მასალა მუსიკა საუკეთესო კომპოზიტორებისა. ვიცით კარგად, რომ დღევანდელ ჩვენი ცხოვრების პირობებში ქმნაბრიტ მუსიკა საკმაოდ ატკობს და ანუგეშებს მსმენელთ, საკმაოდ მოიკიდა მან ფეხი ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ

და მართლაც მისი ასეთი ცდები—მუსიკით ხალხის განვითარება და ამაღლება ჩვენგან უფრო დიდ ყურადღებას, გულსითურს და თანგაძრძობას იწვევს.

საქართველოდან წამოსული ილიკო ქურხული მიემგზავრება გერმანიისა. ჩვენში დარჩება რამდენიმე ხანს. აქ განავრძობს თავის მუშაობას, აქ შეიძლება გამოსცეს გაგონება თავის გაზეთისა და გავეცნობით ერთი სახალხო ლექცია მანზე.

რომ მან ეს პირნათლად შესრულებულ, საქართველოს ჩვენი საზოგადოების და დაწესებულებების თანაგრძნობა, ხელისშეწყობა. მე დარწმუნებული ვარ ჩვენში ამ დახმარებას მიიღებს ილიკო ქურხული.

პროფესორი **დ. მიშინაიკოვი**.
(ბოლგარული გაზ. „ზორა“, მარ 820, 1922).



ვალერიან სარდიონის ძე ქაშაყავილი

აი, სამშობლო ოპერის ერთი სანუგეშო მომავალი თვალსაჩინო ძალთაგან—ბარტონი, მდამბო მშრომელთა წრიდან გამოსული, რომელმაც თავისი თავიკლია საუ-სიკო ცოდნის გზა, სწავლა დაამთავრა (ჯაყელთან, დაიწყო ბროჯთან) ტფ. სახელმწიფო კონსერვატორიაში ჯილ-დოთი 1923 წ. იმავე წელს მიწვეულ იქნა სახელმწიფო საოპერო თეატრში. პირველად გამოვიდა „ფაუსტ“-ში (ვალენტინი), შემდეგ — „ჯამბაზეში“ (ტონიო), „სოდის პატრონება“-ში (არფიო), „აიდა“-ში (ამონასო), „თქმ. შოთა რუსთველი“-ში (არაბი), „დაისში“ (კიაზო) და სხ., რითაც დიდი ყურადღება მიიქცია.

პროფესორთა სახელოვნო საბჭოს დადგენილებით სახ-ლდარი გარედ (იტალიას) უნდა გაგზავნილიყო უმაღლესი სამსიკო-სამხარობო სწავლის დასამთავრებლად, მაგრამ ეს შაშინ ვერ მოხერხდა.

ახალგაზრდა მსახიობს ვადაუწვეველი გაზაფხულის გა-სულს სახელგარჯარედ წაიღეს სწავლის დასამთავრებ-ლად, რისთვისაც ამ მოკლე ხანში მეორე საგანგებო საღამოს გამართავს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხელოვნების მოყვარული ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება და ყოველის მხრივ დახმარებას აღმოუჩენს ამ ხელოვნების სამსახურიო გატაცებულ ახალგაზრდას.

ი. არიელი.

„გაშაშინებულნი ვართ“

(ნაწევრები ლევენდა—რომანიდან)

...თათბირი თემისა დიშვალა; ყველა მიიქცა ტაძარში ღმერთის მხის სადღებლად, მსხვერპლის შესაწირავად. გაისმა ხმა-მალაღი ღღაღღი ხალხისა, ვერცხვა ხელ-გაპყრობილი, შესთხოვედნ გამარჯვებას მტერზე. ლოკვამ ყველა დაამშვიდა, სასოება და იმედი ჩაეხახათ გულში.

ჩვენს წინაპრებს,—დაიწყო გულიმ,—ბრძოლისა არ გე-ნოდით, მათი საქმე იყო მამულის სიყვარული და მისთვის სიკვდილი მუერად და სასახელოდ მიანდათ. მათ დავე-ტოვეს საგალობელი ჰიმნი, ბრძოლის დროს გამამხნევე-ბელი და სულის გამამაყებელი... იასამან, გამზღველო ჩემო, მომიტანე ჩემი ფანდური...

აბრეშუმის სიმები ააწყო, დაიჩოქა მხის ქანდაკების წი-ნაშე, აღიღინდა მზეთუნახავი გული, აღიღინდა საოკრად, მომხბილულად, გატაცებით; მას ამორღებები ნელად მანს ეუბნებოდნენ:

„რაც მოგვივიდეს, მოვიდეს! აბჯრითა დავიმოსებით სამშობლოს სასიქადულოდ, მტერთათვის ვასაოცებით! ერთ დღეს ვართ დაზადებულნი, ერთ დღესვე დავიხოცებით!“

მამა-პაპურად დავიცვით ქართველთ ნაქები ხენია; მამულის მსხვერპლად დავეღაროთ ძარღვთაგან სისხლის ძღვენი! ჩვენ ამით სახელს მოვიხევეთ, ნაყოფსა შეიღინ ჩვენი...“

— შეიწირეთ, ღმერთო, სისხლნი ჩვენი მამულის სახ-სნელი! შეჭლადიდა ხალხმა და ღმერთის მხის წინაშე პირ-ქვე დავმხო.

„თუ რამ გვაქვს, ჩვენად არ ითქმის თუ რამ გვაყავს, არ ღირს ყოლადა!.. ჩვენსაც წაღკოტში გეტყავებენ, არც კი გვიცნობენ ტოლადა!.. ვიცტ შეტრსა ზურგი უჩვენის!— დედა მტერთის ცოლადა...“

— ამინ! ამინ! იყო ხამა-მალაღ პასუხად.

„ ამ დღისთვის გვხდიდნ დედანი, მისთვის გვიმღორდნენ ნანასა, რომ დეგემართო ვაქცაყებრ ჭირის დროს ღვიღვ ქვეყანასა!.. გრაცხდით საერთო ნაღმად, მტერთ სისხლში ხელის ბანასა!..“

— გაუმარჯოს მაგისტანა ვეჯაცებს!... ვაშა მათ, ვაშა!..“

„დღეს ეჭირებდა მამულსა ქალ-კაცი, ჰაბუტ-ხეოიანი!.. დღეს მოვიგონოთ წინაპართ მტერთა სერა ავაკოვანი. ჩვენს ძარღვში იგივე სისხლი სდღეს, იგივე გმირ-ქველოვანი და სჯობს უღებად გდებასა, სიკვდილი სახელოვანი!...“

გულიმ უქანსენკლად მძლავრად ჩამოჭრა სიმებს, მძლავ-რად შემოსახა სიმღერა, ხმა ჩააწყოილა, ანგელოზებრივი კილო მისცა, მთაბარი გრავინით გამოეხმაურა.

— ფიქრი არ არის, ფიქრი! ჩვენც უსახელოდ არ დავიხოცებით! ორში ერთი: ან სიკვდილი, ან სიოცხლეს! იგრილა თემმა!

— სიკვდილი მტერებს, ძმებო, სიკვდილი!... სიმღ-რით შევეგებოთ ბრძოლასა!..“

და გული წაიზოდა.

სოფრომ მგალობლიშვილი



მეხვედრი მარადი

მე არც კი ვიცი ქვეყანაზე როდის მოვედი, საუკუნეთა ბევრი კვალი მაჩნია შუბლზე: მგზავრი მარადი—კაცთა მოდგმის წინამორბედი, წარსულის ბინდში მხოლოდ ერთ ლანდს—იაფეტს ვუმზერ. ეამს, გახელბეზულს, გადმოვეყვი, მოუსვენარი, უკან დავტოვე მითაა ქშინვა, ბურუსები და... უკუნეთშია გულით დამაქვს ფიქრი ზენარი: მიყვარს აღმართი, ვადმოხედვა ფირუხებიდან! ბევრჯერ ვადატყდა ჩემს კისერზე მძაფრი გრივალი და მაინც ვმღერი,—მწუსარება გულზე არ მახს: ესწვა ღამის თვალეზს, ანთებული, როგორც ბენგალი, მომაქვს სიმტკივე ფოლადის და ცეცხლი არმაზის!

ვ. რუხაძე

ნიკო გაცირიძე

(შარკი)

მ. კიპურელისა

— ეჰ, მახლას... (ფიქრობს) ქლექიანების ბალნიცაში კრა-ოტი გექნება, ვინც გინდა გაზავენო. ვუნ გაეზავენო? უნდა ვთხოვო, საგვეთში მომცენ ადგილი,—საიქათ ბევრი კანდიდატი მყავს...



პარკი



გრივოლ ნაქებია (ურზუხი)

ქალ. ფოთის „სპარტაკის“ ხელმძღვანელი, კარგი მოვარჯიშე, ფოთის დაუთმავრებელ სობოროს (ტფილისისაზე დაბალი არაა) კედელზე აცოცდა და გუმბათის ჯვარზე ყირამალა დადვა (სურათზე პატარა ხაზებით სჩანს).

მრჩვეს ქრთაღ...

.. და ქარიშხალი, გაფთვრებული, ქარ-ბუქსა გცემდათ ორივეს ერთად: ის ღამე იყო, ღამე წყველი, გზა-ჯვარედინზე დამტოვეთ კენტად. — „ღამის წყვილადში გაისრისები!“ — მესმის ოთხკუთხევი სისინი ქარის... ოჰ, მაშინებენ ცივი თვალები და ირონია ნაცნობი მგზავრის! შენ აღარ მშველი... ეს კიდევ ასე, — მე კი ორივე მიმანდით ომერთად, — თუ გავიყინე საშიშარ გზაზე, გამოვიტყრებთ თქვენც ჩემთან ერთად!..

იმერელი ქალი

სოლ. ახვლედიანის სიტყვა

სახალხო თეატრში აპრ. 6 ნიკო გაცირიძის ზეიმზე

მოქალაქენო!

ამ სეზონში მეორე ზეიმი სახალხო თეატრში! ამ სეზონში მეორედ ეკრანებში ჩვენი მადლობის გრძნობის გამოსამჟღავნებლად!

პირველი მადლობა ჩვენი მიმართული იყო იმ კოლექტივისადმი, რომელმაც ამ 30 წლის წინად მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა სახალხო თეატრის იდეას, რომლის სიძლიერე შემდეგ ბევრმა იგრძნო და თვისი თავდადებით იგი გაამაგრა იგი მშრომელთა შეგნებაში, რომ ვერაფრითარმა ქარიშხალმა, მიუხედავად ცდისა, მისი აღმოფხვრა ვერ შესძლო... და დიდი ხანია ჩვენ მოწმენი ვართ, თუ როგორის სიძლიერით და სიამაყით მოიმართება სახალხო თეატრი სრულიად საქართველოს სივრცეზე და როგორის აღტაცებით მიღებულია იგი ხალხის მიერ!

მეორედ ჩვენ შევიკრიბენით დღეს, რათა განსაკუთრებული მადლობა ვუძღვნათ და გადუშალოთ მისდამი სასიყვარულო აძვერებული გული ჩვენს ნიკოს!

იმ ნიკოს, რომელიც იყო და არის საუკეთესო მედრო-შე სახალხო თეატრის მშვენიერ იდეისა! ვინ არ იცის, თუ რა როლი ითამაშა ჩვენში თეატრმა საზოგადოდ და სახალხომ განსაკუთრებით! ვინ არ იცის, თუ რა როლი ითამაშა ამ თეატრში ნიკომ! ეს ორი მოვლენა ასეა შეუღლებული, რომ მათი განკვეთა შეუძლებელია.

მაგრამ, შეიძლება, ბევრმა არ იცოდეს, რომ ეს მისისა ყველას ხედრი არ არის!

იგია ხედრი მხოლოდ და მხოლოდ მირონცხებულთა. იმ პიროვნებათა, რომელნიც დაჯილდოვებულნი არიან ხალხის უნვაგარო სიყვარულით, მისთვის თავდადების უნართ, დაუშვრეტელის ენერგიით და დიდის ნიჭით.

ყველა ამით ჩვენი ნიკო მიდღერულია არის შემკული და... აი, კიდევ დირისეულად დაისადგურა მან ქართველთა გულში, ვახდა მისი მესაღმღესი..

ვაშა ჩვენს ნიკოს!

ვაშა დიდ ნიკოს!

ახალი მწერლობა

მკაცრია: მოღლილი ჩემი ხეივანი.

(ობტრაციზმი:

პირველი რომელიც ჩემს თავს მიუხაჯე: ყვირა დილით).

შენც ურევიხარ ჩემს ცოდვაში:
გალაკტიონის ლექსებით დათენილი (პაოლოც ყურ-
ში რომ გიწვივს მუდამ).

დედის ქალი (რომელიც მუდამ დედას ფიცულობ):
ლაჟუბა.

ჩვენ: სასაფლაოზე. საღამო.

სამჯერ გაუარეთ დაკეტილ აკლდამას,
ამბობენ: ბერლინიდან ჩამოტანილი გვამი,
ისე წევს ბნელ აკლდამაში:

რომ ერთხელ არ უთქვამს საყვედურო,
(ამბობენ: ის იყო თათრებთან ბრძოლაში,
როცა კარგებს ეპარებოდა შიშველი ხანჯალი,
როცა ახალგაზრდა მოელოდა ხონთქრის საქურისს.)

ჩვენ დავინახეთ დაქვანულ შანდალზე
თავადის საფლავს რომ აღვას:
სანთლის მოთენილი ნამწვი.

სიფთოვრე ეპარება დროულად.
კოდალაც ჯვარზე ეძებს სისხლიან მატლებს:
შვილების გასაძლომად.

ქვას აწერია: **ჩუზა** წელი დღე კვიმატი და უღარ-
დელი.

(ალბად ყანწებით ილოწნებოდა მისი სხეული,
როცა სატანას უხაროდა: მკვდრის მოლოდინში).

პანაშვილი: შიში.
მლედლის ანაფორა როგორც გარეულ ფარშევანგის
კული.

მნათეს კივილი გაკვეთილ დათენიდან,
და საქმელის ბოლი: სვეტებად ამართული ფრესკის
პირამდე:

არ არყვედა ამ გვამებს უგულოდ რომ წვანან?!
ისინი უცქერიან კუბოს სახურავს:
მუდამ სიცილით.

პატარძალი ვერ გაიციენებს ქმრის ლალატზე ისე:
როგორც შემომესმა ქვეყიდან ხარხარი.

ეხლაც იტყვი რამეს?!...
სჯობია ფიცს:
კულ მოჭრილი კატა:
რომელიც თავგებსაც ვერ დააფრთხოვს.

ჩვენ კი: დავტოვეთ საღამოს ფერხული მაშინ:
როცა მნათემ უკანასკნელად შემოსძახა:
აღილოჯა!..

ეხლა რალას იტყვი?!...
როცა ველარ ვხედავთ გუმბათზე ამართულ ძვლების
ბარიკადებს.

როცა აღარ გვემისი დამპალ ძვლების უდროო ხა-
ხუნი.


ეხლა: სართულები.. სახლები...
კოსტანტინოპოლის ლამაზი მალაზიები.
და მეფხოვეთა ძახილზე: ნაძალადევი ანთებული
კრალები.


აქ არის საღამოს ბაზარიც:
მანეთათ ყილიან ფეხმოტეხილ ინდაურს.
ყველა გაიგო ჩერვონეცის აწვევა და:
ეს მიაბრუნებენ ტომრებით ზონებს ბირჯისაქენ.
დაღმართზე დაეშვა ფიატი სუბუქად:
მუშტაიდს ეშურება ორი არშვიი.
შენ იძახხ: ქალაქი მსუქანია:
როგორც შემოდგომის დასაკლავი ბურჯიკი?!...
შენ შრმდევე ფეხდაფეხ ქალაქში:
სადაც ყველა კედლებს სჭამს: სიფილისი.
ვი გინატრე:
ნოს დროისეული წარღვნა
რომ გადაერცხა ბინძური ქალაქი.
მეტერების წვიმა,
კულიან ქარს მაინც გამოივლო აქეთ...
მაშინ აღარ იქნებოდა ბოლა.
მაშინ შვილებს დაგზრდილით: გოლიათებად.

ბუკი. ყვირილი. ხალხი უამრავი.
ეს დემონსტრაცია საით ეშურება?!...
იქნებ დამავიწყდა რომ:
ჩემ თავს ელის:
ათინის ცივი ოსტრაციზმი.
ბიჭები დააბრუნებენ რეკლამას:
გასამართლება!!!!
გასამართლება!!!!
გასამართლება!!!!
(ეს ხომ გუშინვე ვიფიქრე გულში
როცა ავდექე: თვალბამღვრეული.
თვალზე დასიებული).
რომ მასამართლებენ როგორც საპნის ქურდს.
ყველა უბნები მავურთებენ.
ხალხი ავარდნილი მიყვირის: სასაჯელს,
არ იმეტებენ ჩემთვის სასაფლაოს,
თითქოს წავიციოთხე ქვაფენილზე
წვეტიან მარგილსავეთ ამართული
სისხლით სახული სახელი: კაჟუს!
ასეთი ლანდები დამდევენ ბლომად.
ოო ლაჟუბა!.. დედის ქალი!..
ნეტა შენ მაინც ვეტროი ჩუმად
გადმოვგედლო ცრემლი:
გახურებულ ქვების დასაღობად.
ეხლა კი: გამამევეს როგორც ქურდი
ოო როგორც მტერი სიფილისიანების,
ოო ლაჟუბა.. ლაჟუბა..
(ეს დარჩება ალბად მოგონებად.
ეს ეცოდინებათ შვილებს).

1924 წელი 31 მარტი.

კაჟუს პელი.





ქანდაკება. გავრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 8)

ელენ. მოიგონეთ თქვენი ქანდაკება „ქარიშხალი“. ქარიშხალმა გიბრს წარბი ვერ შეახრებინა. ძარღვიანი მკლავით მას მაგრა ჩაუტვირთა ხელი ერთადერთი მეგობრისთვის და ამაყად, იმედიანად გასცქერის ტალღას, რომელიც გრივალით უახლოვდება.

ლევ. (აღშფოთვანებული) მეორე მკლავი როგორ ნახა-და აქვს შემოვლებული...

ელენ. თითქოს წმინან წელში არ გადასწყდესო...

ლევ. ტუჩები საკონცნლად უღიმის...

ელენ. აღშფოთებული თვალები კი საბედისწერო ტალღისკენ მიუპყრია.

ლევ. იქ, სადაც ქარიშხალი ბობოქრობდა, ეხლა სასაფლაოა. წინა ღამეს, სანამ თქვენ მოხვიდოდით, სახელონოში წავედი. მთავარიანი ღამე იყო და სათელი აღარ ანათებ. ჩემი სიბრძნლიდან ქანდაკებათა შვი სილუეტებს გაცეკვროდი. პირქუშა და ბოროტად გამოიყურებოდნენ ეს ქანდაკებანი. არ ვიცი, სიზმარი იყო, თუ რეალუტინაცია.—ეს კი ვიცი, როგორღაც უცნაურად ამოძრადუნენ. კომერსანტის, ბიუსტი როგორღაც წაიოიკიმა, თავისი სქელი კისერი დაიძვლა და ვეფროლით ჩემსკენ ვადმოიკლანა. დანაოკებული სახე ვეფროლით დაუნაოკდა და თვალუბი დამკინაეის ღიმილით აუთამაშდა. გამმხარი, ძარღვიანი ხელემა კისერზე მომიხდა და შიგ ყურში ხითითი დამწიფოი. რაღაც საშინელმა მოხდა. ხითითებდა კომერსანტი, უფრო უარესად ხითითებდა ქვრივი დედაკაცი. საათმაც კი, კედელზე ჩამოკიდებულმა საათმა, სიცილი დაიწყო. ჯოჯოხეთურ ხმაურბობასა და სიცილს ზედ ერთლად სიცივე, საშინელი სიცივე, რომელმაც ტვინი გამიკინა და ძარღვებში სისხლის მოძრაობა შემიჩერა. უცბათ რაღამაც დაიკუტა. შეშინებული გამოვარდი: ქარს დაწჯარა გაეღო და იმისმა ხმაურბობამ გამომარკვია. რა საშინელი ღამე იყო!

ელენ. მე კი ვეჭრობ, ის ღამე თქვენი ცხოვრების გზაჯვარედინი იყო, ღამე, როდესაც შეურაცყოფილი პოეტუ ანგარიშსა სთხოვდა ხელოსანს. (ღიმილით) კომერსანტის ბიუსტმა შური იძია. ამ უჩვეულ სტუმრით თქვენი სახელოსნოს ჰაერიც კი შეურაცყოფილია.—რა ვასაკვირველია, ბიუსტმა ცოტადენი უხერხულობა იგრძნოს და კისერი უცნაურად დაიბრიცოს! ალბათ სინდისმა თუ შეაწუხა! მოვეჯი კომერსანტებსაც აქეთ სინდისი.

ლევ. (ღიმილით) ამ შემთხვევაში მას მეტი სინდისი აღმოჩნდა. ამ მოლაღატ მკლავმა მაგრა დასკედა დასაყრდნობზე. მაგრამ მაინც შეტოტმანდა. გადმობტომა რომ ვერ მოახერხა, თვით დასაყრდნობი შენაძინა და აატყო. კიდევ კარგი, ქარმა დაწჯარა შემიარახუნა და გამომარკვია, თორემ დამახზობდა ნამდვილათ დამახზობდა.

ელენ. მე მონარული ვიქნებოდი, ბუნების სტიქიონს ცოტაც ვეიან რომ გამოეჩინა თავისი ძალა და დაწჯარა დროზედ არ შემოეოცო.

ლევ. მაშინ ხომ დიდს განსაცდელში ჩავეარდებოდი. კომერსანტი ენერგული ადამიანი და შემებრძოლებოდა.

ელენ. და მოსპობლით კიდევ. იგივე მარჯვენი, რომელეც კომერსანტის უხეში გამოხატულება მოლაღატურად დასაყრდნობზე დაამაგრა, მარმარილოს დაამსხვერ-

და, ნამტვრევებად აქცევედა, და განათიფუფუნელებლს სულს პოეტის სამელობელო სამარედ აღარ მოეჩვენებოდა. თქვენი სახელოსნოც კვლავ გაიცოცხლებდა.

ლევ. (ცოტა უკან დაიწვეს და ალტაცებული ელენეს უცეკროს) სიცოცხლე! სიცოცხლეს, ალბათ, მაგნარი თვალებით, მაგნარი გამოხეტყელება უნდა ჰქონდეს. იგი გრძობით აღსაყვუნდა იყოს და ამაყი; იგი მიმზიდველი უნდა იყოს და მიუტარებელი, წყნარი და მშფოთავი სიყვარული და სიძულიელი. (უცბათ გადაფიორდება!) ცნობი თუ ჩემო ახალი ქანდაკება! სიცოცხლე უნდა დატარებავთ! უკვედა ქალწული... მის ფეხთა ქვეშ გაშხლარიული არსება კი—ადამიანი. ეი, მოქეიფენო! აქეთ გამოდით! დიბადა „სიცოცხლე“ უკვდავი სიცოცხლე!

არჩ. (იფიანის ფანჯარად გადმოსძახებს) რა ბრძანეთ?

ლევ. „სიცოცხლე“, დიბადა-მეთქი, ახალი ქანდაკება..

არჩ. (ოთახში შემოდის. ოდნავ წაიბარბაცებს) დედა-მიწა, თურმე მართლა ბრუნავს. ალბათ სიცოცხლევებრუნავს. ნება მიბოძეთ, ქალბატონო ელენე, პაპიროსო მოეწიო ან როგორც დასავლეთ საქართველოში ამბობენ, დავლიო. მე სიტყვა „დავლიო“ უფრო მომწონს, დიბახ, ღამაზია. „დავლიო“ ხომ ნებას მომცემთ, ქალბატონო ელენე?..

ელენ. მიირთვიეთ.

არჩ. დღიდათ გმადლობთ.

ლევ. (გამზიარულებული) დალოე, დალიე, ჩემო არჩილ, სანამ ჯერ არ დალუფლხარ.

არჩ. (ღღაცეებული იცინის) შესანიშნავია. ლევანი ოხუნჯობს, ბატონო ლევანი ოხუნჯობს. ვაჟა, გამზიარულებულ მასკინძელს!

ლევ. (მივა ფანჯარასთან, ქიქას გადასწევდება და აიღებს) გაუმარჯოს სიცოცხლეს.

არჩ. გაუმარჯოს, გაუმარჯოს!..

ელენ. (ფანჯარასთან ლუარსაბს დინახავს) რა შორიდან გეიკეტერი, ბატონო ლუარსაბ? ახლო მოდით (ხელს წაავლებს და ოთახში შემოიყვანს) ბატონებო! ნება მიბოძეთ, მოვიკონო ერთი თამაშობა, რომელიც ბატონო ლუარსაბს ძალიან უყვარს და რომლითაც იგი თავის პატარა ძმისწულთან ერთობა ხოლმე.

არჩ. გახზოვთ, გახზოვთ.

(ზურბანი და ქეთიონც ოთახში შემოვლენ).

ელენ. (ლუარსაბს შუა სცენაზე გამოიყვანს) ხელცახოცი მიმოიკეთ.

ლუარ. ელენე! ქალბატონო ელენე! აბა, რა დროს ჩვენი ვენია.

ელენ. წინაღმდეგობის გაწევა არ გაბედოთ, ბატონო ლუარსაბ, თორემ გავჯავრდები, (ხელცახოცი თვალებს აუხვევს, არჩილს ერთ სავარძელს უკან დამალავს, ზურბანს მეორე სავარძელს უკან. ქეთიონს სკამის უკან) ეხლა სათითაოდ „გუ—გუ“, ვიტყვით და თქვენ დაგვიკირეთ. აბა, ვიწყობ. „გუ-გუ“. (გადახტება მეორე ადგილას, თვალბახეული ლუარსაბი ხელებს აცეცებს და ელენეს ეძებს).

ზურ. გუ-გუ!

ქეთ. გუ-გუ!

არჩ. გუ-გუ!

ლუარ. კედელს არ დამაჯახოთ.



ელენ. (მეორე მხარეს გადავა) გუ-გუ!
(საერთო ხმაურობა და სიცილია)

ნინო. (შემოდის, აღელვებულია) ბატონო არჩილ! ერთ-ბაშით სიწმე ჩამოვარდება, ლუარსაბი ხელსახოცს მოიხსნის და დალილი იქვე სკამზე დაეშვება).

არჩ. (ნინოსთან მივა) რას მიბრძანებთ, ქალბატონო ნინო?

ნინო. ოთახში როგორღაც ბული დადგა და ვენახისკენ ვავისიერნოთ. (ლევანს) თქვენ განაგრძეთ თამაშობა, თუ გინდათ.

ელენ. (მცირე პაუზის შემდეგ ნინოს პირდაპირ თელვებში შეხედავს) დრო აღარ არის; გარდა, ამისა, სათამაშოდ სხვა ადგილი შეგვიძლიან ავირჩიოთ.

ნინო. რატომ? ყველა თავისებურათ ერთობა და სიამოვნობს. (ლევანს) შენ პატარა ბავშვივით პროწილი მოგწონს, მე ბალში სეირნობა მასიამოვნებს, (ელენეს) დარჩით, სად მიეშურებთ? ჩვენი წასვლა, ვფიქრობ, დროს ტარებას არ დაგვიშლით. (ლევანს) სთხოვ დარჩეს.

ელენ. უკარავდ: ჩემი დარჩენა აღარ შეიძლება. (ნინოს) ბოდიშს ვიხდი, თუ ჩემი მოსვლით რაიმე უსიამოვნება მოგაყენეთ. წვიდი, ლუარსაბ! (ყველას ემშვიდობება და გადის. ლუარსაბიც საერთო საღამოს აძლევს და ელენეს მიხედვს). (ღიღი პაუზა.)

ნინო. (აღელვებული ოთახში დადის და ნერვიულად ხელცახბის სქმუჭნის) რა არის? ეს რა ამბავია?

ლევ. (სკამზე ზის და დაღვრილი ნინოს უქქერის) შენ უნდა გკითხოხ ადამიანმა, რა ამბავია.

ნინო. ესეთი ახალგაზრდა და ესეთი თამაში!

არჩ. ო, უნდა მოვახსენოთ, ელანდელი თაობა საშინლად წაათამბეჭდალია.

ნინო. პირველად არის ჩემს ოჯახში და ისე იქცევა, თითქოს გაზრდილი იყოს. ასე მხოლოდ ისეთი ქალები იქცევიან, რომელთაც რაიმე უფლება აქვთ...

ლევ. (აღშფოთებული) ნინო!..

ნინო. დიხა, მხოლოდ ისეთი ქალები იქცევიან. სითამამე როდესაც ზრდილობის სახეურს სარღლებს, მაშინ ეს სითამამე კი არა, გარყენილება.

ლევ. რაო?

ნინო. დიხა, დიხა! ტყუილათ შფოთავ. ჩემს სახლში ელენეს ვეღარ დაინახავ.

არჩ. ძალიან მაწუხარო იქნება, შესანიშნავი ქალია! ცუგერმელა ქალია. თვალდები. ტუტები. პატარა ტუტები!

ლევ. (არჩოს, მოთმინებიდან გაქოსული) დაწმუდი!

ნინო. ფრთხილად, ბატონო არჩილ! ხომ ხედავთ, ექვიანობს!

ლევ. მე მაგონა მეტის პატივისცემით უნდა მოეპყროთ ადამიანს, რომელსაც პირველად ხედავთ და ისიც ჩემს სახლში.

არჩ. (თავმოწონით) ნება მიბოძეთ, ბატონო ლევან, ადამიანზე ჩემი საკუთარი შეხედულება ექონია, დიხა, საკუთარი შეხედულება, თუ მასწინძობა, რომელიც ამ რამოდენიმე კვირას გამიწეოთ, ასეთ მიმზე ვაღივებულეზას დამაღლებს, მაშინ ურბოებს მაღლობს მოგიძლივთ და მას-ნიძმობის მთიო წყარობისაგან ვგავნათავისუფლებთ.

ლევ. ისეთი ვარაუდგენა იქონიეთ, რანარიც გესურთ. ჩემს სახლში კი ჩემი სტუმრის შურაცხობის უფლებას არ მოგცემთ. შეგიძლიანთ ყოველნაირი აზრი იქონიით ადა-

მიანის შესახებ, მაგრამ დაუმსახურებელი შურაცხობა კი არ მიაყენით ქალს, რომელსაც პირველად ხედავთ და რომელიც, სხვათა შორის, ალბათ, თქვენს აზრს არაფერად აგდებს.

ნინო. ლევან, რა დაგეპართა?

არჩ. (აღელვებული წამოდგება) მით უფრო ნაკლები საბუთი გაქვთ ვგრე ძალიან აწელდეთ და ასე ადვილათ შურაცხობით ადამიანი, რომელსაც ყოველ შემთხვევაში თქვენს წინაშე სიკეთის მეტი არავითარ მიუძღვის. მაგრამ სჩანს ახალი მეგობრები...

ლევ. (მაგიდაზე ხელს დაჰკრავს) აღარ ვაბედათ!..

არჩ. (მცირე პაუზის შემდეგ) კეთილი. თუ როდისმე თქვენი გული სინანულმა მოიცვას, მომიგონეთ. დაღეგა დრო, ძველ მეგობრებსაც დააფასებთ, გისურვებთ დაგვიანებულთ არ იყოს, ეხლა კი ნება მიბოძეთ გამოგემშვიდობოთ.

ნინო. (წაწყვეტ-წაწყვეტად) მოითმინეთ, არჩილ. გჯრ ბევრი რამ გვეკონდა სათქმელი. რამდენიმე საქმეა დასამთავრებელი. იმედია ამ უზარალო შელაპარაკებას ყურადღებას არ მიაქცევთ და ისევ ჩვენი ოჯახის მეგობრად დარჩებით.

არჩ. (ნინოს ხელზე აკოცებს) გთხოვთ მარად თქვენს მეგობრად მივსებდეთ. რითაც კი შემიძლიან, გემსახურებთ. დანაპირებსაც შეგისრულებთ. დანარჩენი... დანარჩენი მისი საქმეა. ნება მიბოძეთ გამოგემშვიდობოთ და ყოველივე სიკეთე გისურვოთ. (ლევანს შორიდან თავს დაუქრავს და გადის). (პაუზა)


ნინო. ლევან, გონს მოდი!

ლევ. არასოდეს ისეთ კარგ გონზე არა ვყოფილვარ, როგორც დღესა. დღეს იშვა „სიციცხლე“, ახალი ჭანდაკება! ტანში ყრუბუნტელი მიღის და მეტყულები მიღუნდება. მოუთმენლად ევლი იმ დროს, როდესაც საშუალება მომეცება ჩემებურის სიამაყით ჩაქუჩი ავაგეშავო და სულ შთავებტრო მეღვარ მარნაიროს. ბიუსტები! (იცივის) ბიუსტებს კი თავს ვაუქუქავ, რომ სიციცხლე არ გამიმწერონ. ნუ გეწინიან! კომერსანტის ბიუსტს სახსოვრად შენ შეგინახავ.

ნინო. (აღელვებული) ლევან, შენ ხუმრობ! ამდენი ხნის იმედები. ამდენი ხნის ოცნება. მოვიდა და ერთბაშად იმედები დაწმუჭა. არასოდეს. გუშინდელ ბავშვს, ქუჩიდან შემოსულ ქალს...

ლევ. (აღელვებული, გადაფითრებული ნინოს მივარდება) დაწმუდი! თვრამეტი წელიწადია შენი მიმზე ხელი ლოდივით მადღვს კისერზე. ყოველდღიური ცხოვრების ბინძურ ჩარჩოში მომაქციე და სიციცხლე მომიწამლე. შენი თვალე. ეგ მწავე თვალეში სიხარბის დაუშრეტელი საბუღარია. თვრამეტი წელიწადია ჩემთანა ცხოვრობ და არც ერთხელ არ დაგინახავს, რა მახარებს, რა მაწუხებს, რა ცეცხლი ტრიალებს ამ დატანაჯულ გულში! კმარა! განგებას ჩემთვის გარკვეული გზა დაუსახავს და ამ გზით ვივლი, თუნდაც იგი ჩემგან მსხვერპლს მოითხოვდეს. შენ კი გესლი და ნაღველი დაწანთივ ადამიანზე, რომელსაც არავითარი დანაშაული შენს წინაშე არ მიუძღვის. ეგ მოწინავე, ხარბი თვალე, ეს საშინელი ნაოჭი სიბოროტესა... (უცბათ შეკრთება) ნინო! ღმერთო ჩემო! შენა სტირია!.. ნინო!.. ცრემლები... პირველათ ვხედავ შენს ცრემლებს... (გაკრძელება შემდეგ ნიშვრში).

მათხოვის სახალხო სახლი



სასწავლებელი, ფოსტა-ტელეგრაფი, აფთიაქი, საექიმო პუნქტი, კოოპერატივი, თეატრი.

ჩვენი ხალხი თავის სულიერ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად თანდათან ჰქმნის ახალ დაწესებულებათ. დაბა-სოფლებში ზოგან თუ ეკლესიები გადააკეთეს თეატრ-კლუბებად, ზოგან სახალხო სახლთა აშენებას შეუდგნენ. — ეს კი საწინდარია ჩვენის ქვეყნის სულიერ-გონებრივი აღორძინებისა და წინსვლულობისა.

ერთ ასეთ სახალხო სახლს აგებენ სოფ. მათხოჯში (ქუთ. მაზ.).

როგორც ზემოთ მონახულობისა და მის წარწერი-

დანა სჩანს,—ეს სახალხო სახლი სამწაწილოვანი, ორ-სართულიანი უხარამაზარი შენობაა (სიგრძით 57 საყ., სიგანით 53 საყ.), რამდენიმე განყოფილებით სხვა-და-სხვა დაწესებულებისათვის.

ვინ არის მისი ამგებ-მეთაური? — თვით სოფ. მათხოჯი თავის მოწინავე პირთა ჯგუფით, განსაკუთრებით-კი საალმშენებლო საბჭოს თავმჯდომარე მასწავლებელი ვარლამ ძიძიგური, ამ დიდი საქმის სულის ჩამდგმელი.

სოფ. მათხოჯი შეიდასიოდ კომისიგან შესდგება, ჰყავს ბევრი მოწინავე შვილი, მასწავლებელი თუ სხვა ასპარეზზე ცნობილი, ლემეტსად სოფლიდან სხვადასხვა ქალაქში გასული.

ვ. ძიძიგური ერთი ასეთი მოწინავე პირ-თავანია. მისი მესვეურობით სამიოდ წლის წინად მათხოჯის მოწინავე პირთა კრება შესდგა. კრებამ ამოარჩია სახალხო სახლის საალმშენებლო საბჭო და საქმესაც შეუდგა: ხელისმოწერა შემოწირულებით შეკრება მცირედი თანხა, მოიწვია ინჟინერი გეგმა შეადგინა... მაგრამ ამითი საქმე ვერ გაკეთდებოდა. საჭირო იყო დიდი თანხა.



ვ. ძიძიგური.

და, აი, საბჭოს თავმჯდომარემ, ვ. ძიძიგურმა თითქმის საიდუმლო ფიცი დასდო: მოკვდები ამ სახალხო სახლს ავაგებო,— საჭირო თანხის შეკრებას შეუდგა: მთავრობის საგანგებო ნებართვით მოიარა საქართველოს ყველი დაბა-ქალაქი, სადაც მათხოჯიდან გასული გავლენიანი წარჩინებულნი (ქონებით თუ სხვაფორიე) პირი ეგულეზოდა, საქმეში ჩააბა, შეადგინა ქვესაბჭოები, დაიწყო შემოწირულების შეკრება და ყოველი აღებულ თანხას მთავარ საალმშენებლო საბჭოს აწვდიდა სოფელში, რომელმაც საძირკველი გასჭრა და კედლების აგება დაიწყო. საბჭომ ამ მიზნით გამართა

საკუთარი საკრამიტე, საკირე, სააგურე და სხ. საქმეში ჩაება მთავრობაც—შინაგან საქმ. კომისიის (ა. გეგეჭკორის), განათ. კომისიის (დ. კანდელაკის) და სხ. სახით; ეს ორი წელიწადი შენობა იგება და მალე დაგვირგვინდება.

კაცმა თუ მონინდობა—შეუძლებელი არაფერია. ეს დავგიმტყიცა ამ სახლის აშენების ამბავმა.

მოკლე ხანში დივებუდავთ მათხოჯის სახალხო სახლის საალმშენებლო საბჭოს ყველა იმ წევრთა ვინაობას, რომელნიც უანგაროდ მუშაობენ ამ საწუქარი საქმის დასაგვირგვინებლად, სხვათა სამაგალითოდ, თავის სასახლოდ და ჩვენის ქვეყნის სასიკეთოდ.

თხსებ არიამათიელი.

სახელმწიფო პინო-მრეწველთა

მახსოვს ერთი მოსკოველი კოოპერატიონდენტი სწერდა მოსკოვის გაზეთში: „ტულისმა გეასწავლა ჩვენ (მოსკოველებს) როგორ უნდა მუშაობაო.“

და მართლაც, თუ გაითვალისწინებთ როგორ პირობებში უხდება სახ. კინო-მრეწველობას მუშაობა (მაგ. ნიეთიერი უქონლობა, კარგად მოწყობილი კინო და სხვ.), მაშინ კოლოსალურ შედეგებს არის მიღწეული ამ მოკლე ხნის განმავლობაში გამოშვებული „მოძღვარი“, „წითელი კინები“, „მამის მკვლელი“. გამზადებულია და ამ დღეებში დაიდგება „პრსენა ყაჩაღი“, „მზადდება „დაკარგული საუნჯე“, „პირველი ნაბიჯი“, „ჩვენი ქვეყნის რანდი“ და სხვა.

აღსანიშნავია ის, რომ ჩვენს, კინო-წარმოებებს, რეკო-

oooooooooooo

საქართველო
საბჭოთა კავშირი

ლიუციონურ სურათებთან ერთად, ეკრანზე გადააქვს ჩვენი მწერლების ნაწარმოებინ.

და ეს ასეც უნდა იყოს: ყოველი ერის კინო-ფილმი უპირველესად სარკე უნდა იყოს თავის ხალხისა.

ამ ახლო მომავალში განზრახულია გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდენტებს და პარიზში მცხოვრებ ქართველ პოეტებს გადაეგზავნოს „არსენა ჯორჯიაშვილი“, „სურამის ციხე“ და „მოდღვარი“, რომლებსაც გერმანიისა და საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქების თეატრებში აჩვენებენ. საფრანგეთისა და გერმანიის მოქალაქეინ არ გვიცნობენ,—ეს სურათები წარმოდგენას მაინც მისცემს ჩვენი ცხოვრების შესახებ. ამ შემთხვევაში კინოს თეატრზე მალა ვაყენებ; თეატრის შემწეობით არა გვაქვს საშუალება უცხოელებს ჩვენი თავი ვავაცნოთ,—კინო კი ამას შესძლებს.

როგორ აღორძინდა ჩვენი კინო-მრეწველება, ვისი წყალობით ვითარდებდა და როგორია მისი ნაშუშვარი,—ამაზე შემდეგ.

..... ღმნა.

სომეხთა მხარალ-მსახიობნი



ბ. ჰრუში (1863 – 1924)

(ზაქარია ბერის როლში,—„ძველი ღმერთები“, ლ. შანთისა)

მარტის 5 ტფილისში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სომეხთა დამსახურებული მოღვაწე მსახიობ-კომიკი და მწერალი რედაქტორი არამ ვრუიერი. იგი დიბე. 1863 წ. კ.—პოლისში. პირველი სწავლა მიიღო სკუტარის „ისტორიულ“ სისწავლებელში 15 წლისა თავის მშობლებთან ერთად ჩამოვიდა ტფილისს. ეს იყო 80-იან წლებში, ამ დროს დაიწყო სომეხური თეატრის „ოქროს საუკუნე“ კ.—პოლისიდან ჩამოსულ ნიჭიერ მსახიობთა დასმა პ. ადამიანის მონაწილეობით. ახალგაზრდა ა. ვრუიერი იმდენად გაიტაცა თეატრმა, რომ 1883 წ. ვართანეს ფაფაზიანის რჩევით გამოვიდა სცენაზე (პირველად ტერ გრიგორიანის პიესა „მოლა“-ში. 60 წ. გრიგორ ალას როლში). ამ როლის მშვენივრად შესრულების გამო გ. იმიშვილიანმა შეიყვანა თავის წრეში. აქედან დაიწყო არამ

ვრუიერის სასცენო მოღვაწეობა. 1908 წ. ბაქოში დიდი ამბით გადაუხადეს XXV წ. ოუბილე.

არამ ვრუიერის წარმოდგენები უმართავს რუსეთის, სპარსეთის, ბულგარეთის და კავკასიის დაბა-სოფლებში მცხოვრებ სომეხთა შორის.

ა. ვრუიერი უმთავრესად კომიკი იყო. მისი მთავარი როლები: აბისლომ ალა (პ. პარონიანის „პოტიეცემუხურ გლეხებში“), ზაქარია ბერი (ლ. შანთის „ძველი ღმერთები“-ში) და სხვ. კოსტ.-პოლისის სომეხურ ენაზე გადაკეთებულ „პეპო“-ში მშვენივრად ასრულებდა პეპოს როლს.

არტისტული მოღვაწეობის გარდა იგი იყო კალმის კაციც, ამ სიტყვის ქეშმარიტი გაგებით: 4—5 წ. სცენად ჯერ კვირველი, შემდეგ თეორ ჟურ. „ჰუმარარ“-ს (მოკარნახე), რომელშიაც სალიტერატურო წერილებს, სურათებისა და ლექსების გარდა, იბეჭდებოდა პიესებიც. კ. პოლისის სომეხურ ენაზე გადაკეთდა გ. სუნდუკიანის პიესა „პეპო“. ამას გარდა ვადაკეთებულ-გადათარგმნილი აქვს რამდენიმე ათეული პიესა.

ვრუიერი მეტად წყნარი ხასიათის იყო, ცოტათი ემაყოფილი, თავის საქმის მიზან.

დაკრძალეს მარტის 9 ტფილისის ხოჯიანქის სასაფლაოზე, სადაც სიტყვები წარმოსთქვენს ამბ. გ. ლევონიანი, მ. დარბინიანი, ს. აუშტროვმა (ქართულად.), ს. აფჩიანი, ვ. სირვანიანი, გ. აფტინანი და სხვ.

..... ს. აფჩიანი

დავა-სოფლის მოღვაწენი

ფაცია ვადაქორია. ძველი სცენისმოყვარე ქალი, გარდაიცვალა ქ. ბათოში 7/III. იგი პირველად გამოვიდა ბათომის მეშურ უბანში 1908 წ. და ჩქარა ნიჭიერ მოხალეში თამაშის გამო გადაყვანილი იქნა შუაგულ ქალაქში. მთელ ამ ხნის განმავლობაში უყანასკნელ წლებამდე ის უსასყიდლოთ ემსახურებოდა ქართულ სცენას, ბოლო ხანებში მოიწვიეს ბათომის აკადემიურ დასში და სიკვდილამდე იქ მუშაობდა. ნიჭიერი აღმასრულებელი იყო სახასიათო როლებისა, განსაკუთრებით იმერულ ტიპების. მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია ბათომის სცენისათვის. ბათომის ქართველი საზოგადოების გულში ამოუშლელი იქნება საყვარელ ფაციას ხსოვნა.

გამ—ელი.



რუსთველის თეატრში ნიკო გოცირიძის 30 წ. სასცენო მოღვაწეობის ოუბილე 30/III არა ჩვეულებრივის ზემით გადაიხადეს. დაესწრა აუარებელი საზოგადოება, მიულოცეს საზოგადოებამ, სახელმწიფო და სახელგონო წარმომადგენლებმა, მასთან მრავალი საუქრებოთ და გვირგვინებით დააჯილდოვეს (მარტო ფულად უძღვნეს ორას ჩერვონცამდე, უწოდეს რესპუბლიკის სახალხო არტისტი



და ხელოვანის უმაღლესი ნიშნით შეუძქვს მკერდი). დაწერილებითი ანგარიში შედეგ.

სახალხო თეატრმა კვირას (6/1V) არა ნაკლები ზეიმი გამოართო თავის საყვარელ ნიუსს. დიდძალი ხალხი დაესწრო, მიუღოცეს და გარუბუნებში გაიწვიეს საიუბილოდ. აქ შეასრულა აკოფა („ხანა“) და კრუტოუზბოვი („ტაინი სოფ. სიხ.“). საზოგადოების სამადლობლოდ ნიუსმა, სხვათა შორის, წარმოიტყვა: „მოკალაქენი! ნება მიბოძეთ მხოლოდ ორი სიტყვა მოგახსენით. ყველა მოქალაქე მოვალეა თავის ერს ემსახუროს როგორც მის ძაღლსავე შეფეფებთან და მეც—გაუკეთი ნება შემიძლო... ის ენე მკირე რამეა, რომ ასეთი პატივისცემა ზედმეტად მიმარჩია... ვამადლობთ იმ პიტევისცემისთვის, რაც თქვენ მომიძღვრეთ“.

შემდეგ გამართა ნადიმი, რომელზედაც ას ქალ-კაცამდე დაესწრო. სხ. შორ. დაესწრენ აღმსკომის თავმჯდომარე ლ. სუხიშვილი და აღმ. განაყ. განაყ. ბუხნიკა-შვილი. ნადიმი ხელმძღვანელობდა რეჟ. მ. ლვინიავა. ნადიმი იყო გულ-ხელგაშლილი, მზიარული, შინაძისიანი.

სახალხო თეატრში 31/III ნიკო გოციოძის და დეების თარხნიშვილების მონაწილეობით გამართა საღამო. თუმცა მარო თარხნიშვილს ავადმყოფობა ემჩივდა, მაინც თავისი ბუნებრივ ქართველური პანკებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. არა ნაკლებ ყურადღებას იქცევს მისი უმცირესი და თავისი მიღებული ხმო. ნიკო გოციოძიმ, გ. თაზიშვილმა, ვ. ნინიძემ და იოსებ რომანიშვილმა ერთსულელებით წარმოადგინეს გ. ერისთავის „დავა“—დან ერთი სქენა.

უ—ნო.

მკირე თეატრში მე-18-ე შრომის სკოლის მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა 16/III გამართა საღამო დღია. ის იყო ჩვენი ნორჩი თაობის სიცოცხლის ამოკაშაშებმა, მკირეწლოვან დიდ არტისტთა ხელოვნება. აქ განასახიერეს ბუნება და მოზარდთა მრავალხრივი შემოქმედება: ბავშვთა გუნდმა შეასრულა „ინტერნაციონალი“, შემდეგ მოწადებმა (6—12 წლისებმა) წაიკითხეს საკუთარი ნაწარმოებები: მ. სუხიანიშვილმა მოთხოვნა „ზამთრის საღამო“, მ. ბუტუაშვილმა „ზამთრის ღამე“, ვ. ქუთაძის ნაწარმოებები: „ზამთარი“, გ. არონიშვილი „ზამთრის დღია“, ვ. კანდელაკმა—სიმღერა „რა ღამაში ხარ ნადვის ხეც“, წარმოადგინეს ახალი პიესა „ნადია ზეიმი“, რომლის მომქმედნი პირნი იყვნენ: ნადევი, კურდღლები, ჯუჯები, ფერები, ფიჭვები, ყინვა და სხ. ყველა ამბა ასხასიერებდნენ მოწადებში, საგანგებოდ შეკერილი ტანისამოს-კრიმებით მორთულნი. თითოეულმა მათგანმა გასაოცარის ბუნებრივობით განასახიერა ნაკისრი როლი. დასასრულ გამართა აპოთეოზი: იყო მუსიკა, სიმღერა, ცეკვა-ბალეტო. დღის მესვეურად მასწავლებელი ი. ვახანიშვილი, თამ. სულიკაშვილი და სხ.

იობი.

ვ. ბატის კინო-თეატრ „სოლი“—ში 31/III თ. ნახიძის რეჟისორის ადვკატ. სკენისმომყვარეთა წრემ წარმოადგინა „ჯორ-ზაქარა“, დრამა 5 მოქ., გ. დლოძის მიერ გადმოკეთებული მსკოვან ბელეტრისტის სოფ. მკალობლიშვილის რეკოლოციონერ შინაარსის იმავ სათაურის მოთხრობიდან. კობჯა თეატრი საესე იყო მუშა ხალხით. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა, მხოლოდ ტეხ-

ნიკური დაბრკოლებანი ხელს უშლიდნენ. თამაშობდნენ სულ ახალი, გამოუცდელი მუშა-მოსამსახურენი. უნდა ითქვას, რომ იმისთანა გლეხის როლის შემსრულებელი იშვიათად გვიხანავს. გამოიხმეს აეტორი ს. მგალობლიშვილი და გადმოკეთებულნი გ. დლოძის და დიდი ოვცია გაუმართეს.

დამსწრე

ჯანმრთელობის კომისარიატის თაოსნობით (ნაწარე-თაისნი მეკადნიცობით) ტფილისში (ეგანულოვის ქაჩა 12) მოწყობილია სანიტარული თეატრი.—კოპია სქენა, მოზრდილი დარბაზი. აქ შემდგარი საგანგებო დასი გ. ბაღანჩიავისა და ს. წერეთლის ხელმძღვანელობით დრო-გამოშვებით მართავს წარმოდგენებს, უმთავრესად ლოთობის საწინააღმდეგო ჯაგაგებისა და გადასდებ სნეულეობათა წარმოშობა-შედეგების დამახასიათებელს. ამ წინაზე დაწვანი დიმიტის „შამი“ (რუსულიდან ნათარგმნი), ს. წერეთლის პიესები—„ზვი ჯვარი“, „როსკიპა“ (მოპასანის მოთხრობიდან), „ესიკა არა აქვს ცოდვა-იმნისტროლის ქეა“ (დადა მარტის), „თავისუფალი საქართველო“ და სხ. „შამი“ იქნება რუსთა ცხოვრებას ეკუთვნის, მაგრამ ქართველისთვის შეუფერებელია. საქართა რეპერტუარის შერჩევა და მატერულ მხარის გაუმჯობესება. მხალდება „მალარია“, „სიუფილის“ და სხ.

იგე—ლი.

ხელოვნათა სახალხო 19/III სტუდენტ ქალმა ანიკო ლვინიაშვილმა წაიკითხა საყურადღებო მოხსენება ახილო მეფის სამწერლო მოღვაწეობის შესახებ. ნაშრომი მეცნიერულია, დიდი დაკვირვება-კვლევის შედეგი და წარსული მწერლობის ბევრი ბუნდოვანობის გამკაცვეი. საღამოს დაესწრო უმეტესად ახალგაზრდობა.

ი—ელი.



დ ა ვ ა - ს ო ვ ე ლ ი

ფოთში კლუბების და თეატრების რიცხვი საქმაოა. მხოლოდ მსახიობ სკენის-მოყვარენი ძლიერ მკირე და რაკაა—ისიც დღემდე გამოუცნელები. თებერლის ბოლო რიცხვებში, პარტკომმა, ამნასკომის პრეზიდიუმმა და კოქ. კავშირმა გამოყო კომისია, რომელმაც მოიწვია სკენის-მოყვარეთა კოქმა. კრებამ რამდენიმე დარსდენი ფოთში პაროლტარული იმნი. არჩევო იქნა გამგეობა შემდეგი ამხანაგებისგან: 1) ვლ. ბაბილუა (თავმჯდომარე), 2) ვლ. პიუპაძე (მდივანი), 3) სოქოლუა მიხ. (მოლორე), 4) ვლ. პიუპაძე (მდივანი), 5) ნუკა ნორაკიძე—ლოლობერიძისა.

გამგეობამ რეჟიმუვა რეპერტუარი, რომელშიც შედის პიესები, როგორც თანამედროვე რევოლუციონური ხანიდან, ისე ძველი საყოფაცხოვრებო შინაარსის. პიესების დადგმას უკვე შეუდგნენ.

პირველათ დადგმულ იქნა „მსხვერპლი“ და „მზის საიდუმლო“. დასის ხელმძღვანელ-რეჟისორი ვლ. აღ. მარჯანიშვილი, შრომის უნარიანი, ენერჯიტი და ღრმა შემოქმედებითი ნიჭით აღჭურვილი პიროვნებაა. მისი უნჯარო შრომის წყალობით ჩაყვარა საფუძვლი ფოთში საბავშო თეატრი.

დასის გამგეობას გადაეცა ეკლესიის ტანისამოს-ნივთები და ამ ტანისამოსებიდან იკრება რეპერტუარის მი-




ხედვით შესაფერი ტანისამოსი, დასი სუსტობს ქალთა ძალებით.

ილ. შვანია

ქ. სიღნაღში ა. წ. თებერ. 26 შესდგა საერთო კრება ადგ. დრამატული დასისა, მოწვეულ სტუმართა დასწრებით. კრების მოწვევის მიზანი თეატრის მდგომარეობის გათვალისწინება და მისი ნაკლის აცილება იყო, რომელიც აფერხებდა თეატრის მუშაობას. დღის წესრიგი: 1) თეატრის ტექნიკურ მხარეთა გაუმჯობესება, 2) დამსახურებულ მოღვაწე სცენისმოყვარეთა იუბილეს გადახდა, 3) გამგეობის შედგის არჩევა და სხ. არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა სცენის დათვლიერება და მისი შეკეთება. იმედია ამიერიდან მუშაობა უფრო ინაყოფიერებს.

ღამსწრე

ანავა ქიზიყში ერთ თვალსაჩინო სოფელთავანია. აქ არის ოთხ-კლასიანი შრომის სკოლა მოსამზადებელი განყოფილებებით, სამკითხველო, ფოსტა-ტელეგრაფი. მოწვევთა რიცხვი ათასამდეა. შენობის უქონლობის გამო,



ხელოვნების ქრონიკა

თეატრი

ტფილისის სახელმწიფო თეატრები ძველებურ პირობებში რჩებიან.

გრ. რომაქიძის ახალი პიესა „მალშტრემი“ აუარებელ ხალხს იზიდავს. დღეს მესამედ დაიდგმის რუსთაველის თეატრში.

სახალხო თეატრში ამ ახლო ხანში რეჟ. მ. ლემიჩიავა და ვ. ბარველი ახალ პიესებს დასდგავენ.

დრამატურგია

ახალი პიესები დასწერეს: ა) ან ეკალაძემ „მყუდრო ოჯახში“, ვოდ. 1 მოქ.; ბ) მიქელ დიანელმა „განთიადის მოლოდინში“ (პრემიით დაჯილდოვებულია), გ) იონა ვაკეძმა—დრამატული პოემა მსოფლიო რევოლუციიდან. ამ პიესაზე იწერება სცენარი, დ) ს. წერეთელმა—„ლენინის სიკვდილი“, „თავისუფალი საქართველო“ და „ქალთა უფლება“.

მწერლობა

რაუდენ გვეტაძის ლექსების ტომი, 200 გვ. იბეჭდება. წიგნში შეტანილია მისი წინანდელი კრებულები: „დაბინდული ქარები“, „ლეღვის ფოთლებით“, „პერგამენტები“, „საფირონის ყაფანი“, „საქართველო“, „ქახუბები“, „ვირები“ და „რევოლუცია“.

ს. უელის ლექსთა III წიგნი იბეჭდება. მისივე ლექსები გამოავა რუსულ ენაზე.

მ. დიანელმა დასწერა რევოლუციონური პოემა „ფიქრი წამებული“.

იუბილეები ახლო მომავალში გაიშარებთა: 1) ივ. პ.

ბავშვებს თავისუფალი სპექტაკლი სახლებში აქვთ გამართული კლასები. ადგილობრივი ინტელიგენცია ღიადს უნარს იჩენს კულტურულ საქმიანობაში არსებობს კულტურული წრე, რომელსაც მეტად მძიმე პირობებში თითქმის არარაისაგან შექმნა დიდებული თეატრი—სახალხო სახლი. იგი აშენდა ადგილობრივი აღმასრულებელ კომიტეტის დახმარებით. ამიერიდან თეატრის მუშაობაში შეუწუხდებიან იმით, თუ რომელ ეზოში მიახებონ წარმოადგენის დადგმა, აღარ უშინიანთ, რომ მოატანს წვიმა შუა მოქმედების დროს და უნაყოფიეთ ჩაუვლით შრომა, დღეს ანავას შეუძლიან, იამაყოს იმისთვის, რო მთელს მახრავს პირველი მავალითია ასეთი დარბაზის აგებისა. თეატრთან ერთად გაყვანილი იქნება სინათლე. ამისათვის სათანადო მუშაობა უკვე დაწყებულია. ჩვენს სოფელსა ცხოვრებაში ეს ახალი მოვლენაა, ესაა საძირკველი ჩვენი კულტურული წინსვლისა. ახლო მომავალში მოხდება სახეობი გახსნა. სწარმოებს დიდი მზადება აღნიშნულ დღისათვის, ვუსურვით ამ დიდი საქმის მებაიარახტრე წინსვლა და გამარჯვება!

ქ. ანაგელი

ფალიაშვილისა 35 წ. სამუსიკო მოღვაწეობის აღსანიშნავად საპ. თეატრში აპრილის 18; ბ) მხკოვან მჭერლის სილა. მგალობლიშვილის 55 წ. სამუსიკო მოღვაწეობისა

სხვა და სხვა

პახუხიშკებელ მშრომელთა არტელმა თვისი არსებობის 5 წ. შესრულების აღსანიშნავად აპრილის 5 სახალხო თეატრში გამართა სახეობი სხდომა დ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით, სახელმწ. უნივ—ში დანიშნა სამი სტაჰენდია ლენინის სახელობისა, საღამოთი სახანანაგო ნადიმი გამართა „ახ. კლუბში“.

მისაზამი მავალითა

მოქალაქე ირ. ბილანიშვილმა ქარწილის ხარჯებით ნაკვლად, გადასწევტა აღზარადს ქართულ სპარსელთა ჩავდენიმე ბავში და ამ მიზნით საგანგებო ოთახიც გამოძყო თავის ბინაზე, შესაფერი ხარჯით.

რედაქციისგან: ტექნიკურ დაბრკოლებათა მიზეზით, ამ ნომრისთვის გამზადებული მასალა—თ ჯაფარიძის „დები“
ბი“, კიუსუპელის ახალი თეატრი—„მალშტრემი“, ნა—ზის „გაზაფხულის მოლოდინში“ და სხ. ვერ დაიბეჭდა.

ჩვენს ჟურნალში მომავალ ნომრიდან დაიბეჭდება შ. იმედაშვილის წერილები სერია ქართული თეატრის შესახებში ა) ექსკურსია. ბ) ძველი თეატრი, გ) ახალი თეატრი, დ) სახალხო თეატრა, ე) სახელმწიფო დრამ. სტუდია და მისი პერსპექტივა, ვ) ჩვენი დრამატურგია; ზ) კორპორაცია „დღუოჯი“ თ) პროვიციის თეატრი. დასკვნა.

რედაქტორ—გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

„თეატრი და სმოკრაპა“-ს ფონდი

ჟურნალის საგამომცემლო თანხის შესადგენად.

3-ლო რედაქტორო! ამასთანავე შემომაქვს **ორი ჩერვონეცი** (20 მან.) და ჩემის მხრივ ვიწვევ მთელ თალკვადეს, რომელიც, იმედია, არ ჩამომრჩება და თავის მხრივ სხვასაც გამოიწვევს ჩვენი ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“-ს სადღეგრძელოდ.

ირაკლი ბილანიშვილი

3-ლო რედაქტორო! ამასთანავე გაახლებთ **ერთს ჩერვონეცს** ჟურნალის გამოცემის თან-

ხის გასაძლიერებლად.

პატივისც. ვანო ანტონის-ძე თუშმალიშვილი
ალექსი სოლომონის-ძე მათითაშვილი

3-ლო რედაქტორო! თანახმად ვასილ კირვლიძის გამოწვევისა („თ. და.ც.“ №) შემომაქვს ერთი ოსმალური ლირა და თქვენს ჟურნალს ვუსურვებ გამარჯვებას

მარკოზ ლობჯანიძე

რედაქციამ მიიღო: 1, ეკიმ ალ. ალექსიძისაგან—ორი ოსმ. ლირა, 2, სანდრო ჩოხელისაგან—ორი მან.

შემომწირველთ უდიდეს მადლობას ვუძღვებით.—

შენიშვნა: შემოწირულება უნდა გამოგზავნოს „თ. და.ც.“ რედაქციაში იოსებ იმედაშვილის სახელზე.

აზიურ-პავსანისიის რკინისგზათა საგზარტოებლო

აღსაღებებს, რომ სამკურნეო-მეტერიალურ ნაწილის ბინასე (ტფილისი, ვაგზლის ქ. № 1) 1924 წ. 15 აპრილს, დღის 12 საათსე გაიმართება სიტყვიერო

ს ა ჯ ა რ ო ვ ა ზ რ ო ბ ა

ძველ საარქივო ქალაქის 500—1,000 ფუთ რაოდენობით გასასყიდათ.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ვაქრობაში, წინასწარ უნდა შემოიტანონ საწინდარი 250 მან. ჩერვ. ვინც საწინდარს არ შემოიტანს, არ იქნება დაშვებული ვაქრობაზე. ვაქრობის დამთავრების შემდეგ, პირმა, რომელსაც დარჩება ქალაქი, იმავე დღეს უნდა შეიტანოს 500 ფუთი ქალაქის სრული საფასური და დანარჩენი კი ქალაქის მიღების მიხედვით. დანარჩენ მოვაჭრეებს საწინდარი დაუყოვნებლივ დაუბრუნდებთ უკანვე.

ქალაქის პირვანდელი ფსი განისხვავდება 2 მან. 20. კაპ. ფული ფრანკო რკინის გზის საწყობი. გაყიდული ქალაქი უნდა იქნეს წადებული არა უგვიანეს 10 დღის განმავლობაში. ქალაქის ნახვა შეიძლება ვადასახადების ნაწილის არქივში (ჩერქეზიშვილის და მბილიუტინის ქუჩის კუთხე) ყოველ დღე, დღის 11—1 საათამდე.

აუშვავო და გლენავო!

თქვენ ყველამ უნდა იყიდოთ მამაკაცების, ქალების და ბავშვების გამაზღებელი ტანისამოსები კარგი მასალისაგან, იაფად და ნაწილ-ნაწილად გადახდის გზით მხოლოდ საფაბრიკო მაღაზიაში

„ბ რ უ ზ ო დ ე უ დ ა“

რუსთაველის პროსპექტი № 11 (გლოვინ.)

მოითხოვეთ საქარხნო კომიტეტების და ადგილკომების საშუალებით თქვენი დაწესებულებებისა და წარმოებებისაგან კოლექტიური კრედიტები.

ფ ა ბ რ ი კ ა

მელიქოვის ქუჩა, № 5, ტელეფ. 11—67.

მიიღება დაკვეთები ხამუქედრ, ხამუქაქაქ და სპეც-ტანთხაგმკვლების მახიურ დამზადებაზე.

ჟურნალ „თეატრი და სპორტი“ ში მიიღება

დახაზუკდად სახელმწიფო თუ კერძო განვადასვა დაწესებულებათა, სავაჭრო მაღაზიანო, სპორტსაღმათა და სხვათა

განცხადებანი შეღავათიან ფასებში

განცხადებანი უნდა გამოგზავნოს რედაქციის სახელზე: „თეატრი და ცხოვრება“-ს კანტორის (ყოფ. ქართული თეატრის, ან „ახალი კლუბი“-ს შესავალში, სასახლის ქ., № 5), ფოსტით ანავე მისამართით **იოსებ იმედაშვილის** სახელზე. დაბა-სოფლებისა და ტფილისის გარეშე ქალაქების დაწესებულებებმა განცხადებასთან ერთად მისი ღირებულებაც უნდა გამოგზავნონ. ფასი მთელი გვერდის — 50 მ. ნახევარი — 30 მ., ტექსტის წინ გვ. 100 მ. განცხადებანი 1 მანეთიდან.

სახელმწიფო თეატრი

ხუთშაბათს, აპრილის 18, 1924 წელს

რუსეთის სახელმწ. თეატრების დამსახურებულ მსახიობის

ი. პ. ფალიაშვილის

35 წ. იუბილეათვის

ღებურა

აგენსალომ და ეთერი

ქ. მარჯანიშვილის ახალი დაღმით, მიღებუბი იყიდება.

ლითონის ჩამომსმეული და მექანიკური სასელოსნო.

აკაკა

„კავკაზი“


იღებს ყოველგვარ სამეხნიკო, საარმატურო საქმებს (წყალსადენის ქონების, შვანგაღებების, ყუონის სარწყავების და სხ. შეკვეთებს).

სუმები სრულდება დანიშნულ დროზე, პირნათლად და ხელმისაწვდენ ფასებში.

მისამართი: თბილისი, ბუჩახაძის ქ. № 59.

პატენტისტი: თუმშალიშვილი.

0-1.



საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

სავაჭრო-სამრეწველო წარმოება.

„ტენის-ქიმიკოსი“

საფუთაქა საქონლის წარმოება და ვაჭრობა.

მთავარი საწვობი და მმართველობა **ტფილისში**, ზღუხ. ზროსნ. № 106 (ე. მისეილის ზროსნ.), ტელეფ. 13-63.

განყოფილება **ბათუმში**, ტროცკის ქ. № 14 (ე. მისეილის ქ.).